

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში

აპრილი - ივნისი

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში

აპრილი - ივნისი

თბილისი
2024

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და „ახალი დემოკრატიის ფონდის“ მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

ანგარიშის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

ანგარიშის ავტორები: ნიკოლოზ ოდიკაძე
მათე ბუბაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნები 4

შესავალი 6

1. პოლიტიკური კონტექსტი 8

1.1. საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა 8

1.2. ცვლილებები მმართველ პარტიაში 8

1.3. მმართველი პარტიის მხრიდან არასამთავრობო სექტორის სტიგმატიზაციის მცდელობები 9

1.4. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ რუსული სტილის კანონი 9

1.5. სანქციები 15

1.6. ლგბტ+ თემის მიმართ სიძულვილის წახალისება 16

1.7. პრეზიდენტის ინიციატივა - „ქართული ქარტია“ 17

1.8. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი 17

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია 21

2.1. ცესკოს დაკომპლექტების წესი 21

2.2. ცესკოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობის შემცირება 24

2.3. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის გაუქმება 25

3. საარჩევნო კანონმდებლობა 27

3.1. საარჩევნო სისტემა 27

3.2. ქალთა გენდერული კვოტების გაუქმება 27

3.3. საარჩევნო კანონმდებლობაში დელეგატის ცნების შემოღება 28

3.4. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიმართვის საფუძველზე პარტიების რეგისტრაციის გაუქმება 29

3.5. იურიდიული პირებისთვის პარტიისთვის თანხის შეწირვის აკრძალვა 30

3.6. პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კანდიდატების მთლიანი წლიური ხარჯების ოდენობის კანონმდებლობით დადგენილი ზედა ზღვრის შემცირება 31

4. საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება (სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა) 32

4.1. ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება „ქართული ოცნების“ კონტრაქციაზე 32

4.2. თელავში „ოცნების“ მხარდამჭერებთან შეხვედრა 34

4.3. პატიმრების მასშტაბური ამნისტია 35

4.4. ხელისუფლების ინიციატივები მოქალაქეების ფინანსური ვალდებულებების სუბსიდირების შესახებ 35

4.5. სახელფასო გასაცემელებისა და შტატების ზრდა 36

4.6. ინფრასტრუქტურული პროექტები 37

შემაჯამებელი დასკვნები

- ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო სექტორის მიზანმიმართულმა და სისტემურმა მადისკრედიტირებელმა კამპანიამ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონის ხელახალმა ინიციირებამ და მისმა თანმდევმა პროცესებმა გააღრმავა პოლარიზაცია და საფრთხე შეუქმნა არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების შესაძლებლობას.

- ევროპული კომისიის 9 რეკომენდაციიდან მე-5 შეეხება სახელმწიფოს მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობას, ხოლო მე-9 რეკომენდაცია - გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობას, რაც, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ამ ეტაპამდე არ სრულდება.

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის მოწინააღმდეგე პირების, სამოქალაქო აქტივისტების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ განხორციელებული დევნა და ძალადობა მიმართულია, მათ შორის, წინასაარჩევნოდ განსხვავებული აზრის ჩახშობისა და სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზებისკენ.

- მმართველი პარტია მის მიერ ინიციირებულ ანტი-ლგბტქ კანონპროექტებს ამომრჩეველზე წინასაარჩევნო მანიპულირების მიზნებისთვის იყენებს.

- ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე პარტია „ალტ-ინფოს“ გაუქმება და მისთვის საარჩევნო რეგისტრაციის პროცედურის შეჩერება სახიფათო პრეცედენტს ქმნის. ჩნდება ეჭვი, რომ მმართველი პარტია არაკეთილსინდისიერად იყენებს ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებულ გავლენებს და ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნის მის ელექტორალურ კონკურენტს, რაც ეწინააღმდეგება თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო პროცესს.

- ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების სრული ვადით (5 წლით) ასარჩევად დადგენილი წესის ცვლილებამ მმართველი პარტიისთვის შესაძლებელი გახადა ცესკოს დაკომპლექტება ერთპიროვნულად, პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება 2021 წლის 19 აპრილის ე.წ. „შარლ მიშელის“ შეთანხმებას.

- 2024 წლის 21 ივნისს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, რომელიც ცესკოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობის შემცირებას ითვალისწინებს, გაუარესდა კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და მასში ცესკოს ოპოზიციონერი წევრების მონაწილეობა. ასევე, გაიზარდა პარლამენტის უმრავლესობის მიერ დანიშნული პროფესიული წევრებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების რისკი.

- პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, პარტია „გირჩის“ ინიციატივითა და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტები.

- მმართველი პარტიის მიერ დელეგატობის ინსტიტუტის შემოღებით, პროპორციული არჩევნების პირობებში, კვლავ ბრუნდება მაჟორიტარიზმის ნიშნები, რაც კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების, წინასაარჩევნო კამპანიის, პარტიული შტაბის მოწყობის ლოგიკის და პრიორიტეტების ცვლილებას გა-

მოიწვევს, შესაბამისად, წინასაარჩევნო მარათონს კვლავ მაჟორიტარული არჩევნების პირობებში არსებულ რეალობას/ლოგიკას მიუახლოებს.

- სადავოა ცვლილებების მიღების რელევანტურობა და დროულობა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში, რომელიც ითვალისწინებს იმ პარტიების რეგისტრაციიდან მოხსნას, რომლებსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში დეკლარაცია არ წარმოუდგენიათ, ან, თუ წარმოადგინეს, მათი ფინანსები ნულის ტოლი იყო. ეს ცვლილება ქმნის დემოკრატიულ პოლიტიკურ წესრიგში სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევის რისკს. სასურველია მისი შერბილება ასეთი პარტიებისთვის ხელახალი რეგისტრაციის უფლების მიცემით.

- პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებული ცვლილებების მიხედვით, პარტიებს აეკრძალათ იურიდიული პირებისგან შემოწირულებების მიღება. ასევე, ცვლილების მიხედვით, მცირდება პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების დასაშვები საერთო ოდენობის ზედა ზღვარი წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.05%-იდან 0.04%-მდე.

- საარჩევნო წელს გამოვლინდა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების შემთხვევები. მმართველი პარტია სახელმწიფო და თვითმმართველობის დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მხარდასაჭერ აქციაზე წამოსვლისკენ მოუწოდებდა, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევაა. საია მიიჩნევს, რომ საჯარო მოხელეებისთვის პარტიულ აქტივობებში ჩართვისა და საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის აკრძალვა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდით, არამედ უნდა გავრცელდეს მათი უფლებამოსილების მთლიან პერიოდზე - სამუშაო საათებში და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

- თელავში პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების შეკრებისას, სამუშაო საათებში, გამოვლინდა შსს-ისა და მუნიციპალურ ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების დასწრების ფაქტი. მათი მხრიდან ისმოდა პარტიის სააგიტაციო მოწოდებებიც. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას შსს-ისა და სხვა ორგანოებში დასაქმებულ პირებს მოეთხოვებათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა და ეკრძალებათ პარტიულ აქტივობებში მონაწილეობა.

- საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა მთავრობის მიერ სოციალური პროგრამების გამოცხადების ფაქტებიც. ამ პროგრამებით მოქალაქეები სხვადასხვა სოციალურ სიკეთეს იღებენ (მათ შორისაა: პატიმრების მასშტაბური ამნისტია, ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა, სახელფასო გასაცემელების მატება მასწავლებლებისა და საჯარო მოხელეებისთვის, საშტატო კადრების ზრდა, დიდი ხნით ადრე დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება და ა.შ.). მთავრობის მხრიდან ამგვარი პროგრამების პრეზენტაცია, რამაც, შესაძლოა, იმოქმედოს ამომრჩეველთა ნებაზე, წინასაარჩევნოდ ქმნის აშკარა უთანასწორო გარემოს პოლიტიკურ პარტიებს შორის. არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება პარტიული და ადმინისტრაციული რესურსის გამიჯვნის პრინციპს.

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) გრძელვადიანმა სადამკვირვებლო მისიამ (LTO) ფუნქციონირება 2024 წლის აპრილიდან დაიწყო. გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას ამოცანაა საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის ხელშეწყობა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ. საია დაფუძნებიდანვე აქტიურად არის ჩართული არჩევნების მონიტორინგის პროცესში. მუდმივად და მკაცრად იცავს ნეიტრალურ პოზიციას და საქმიანობისას ხელმძღვანელობს კანონის უზენაესობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, გამჭვირვალობის პრინციპებით. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით, თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2024 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში გამოვლენილ დარღვევებს ან ისეთ ქმედებებს, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, თუმცა ცუდი პრაქტიკაა და ზიანს აყენებს ჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას. ანგარიშში ასევე ასახულია ისეთი პროცესები, რომლებიც შეიძლება სცდებოდეს საანგარიშო პერიოდს, თუმცა, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებით გავლენას ახდენს საარჩევნო საკანონმდებლო ბაზისა თუ არჩევნებისწინა პოლიტიკური კონტექსტის ფორმირებაზე.

1. პოლიტიკური კონტექსტი

2024 წლის არჩევნების წინა პერიოდი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, ისევე, როგორც, ზოგადად, საზოგადოებისთვის გამოწვევებით ხასიათდებოდა. მმართველი პარტიის წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში, მიზანმიმართულად და სისტემურად ცდილობდნენ სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციას. ამისთვის აქტიურად იყენებდნენ როგორც საპარლამენტო ტრიბუნას, ასევე პროსახელისუფლებო მედიასაშუალებებს და სოციალურ ქსელებს. პროცესს თან ახლდა მძაფრი პოლარიზაცია.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის[1] („რუსული კანონის“) ხელახალმა ინიციირებამ, მმართველი პარტიის მიერ ევროსკეპტიციზმის გასაღვივებლად წარმოებულმა კამპანიამ,[2] მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა უფლებების მასშტაბურმა დარღვევებმა, პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა შევიწროებამ და ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევებმა არჩევნების წინა გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია, გააღრმავა პოლარიზაცია, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში გამართვის შესაძლებლობა. შეიცვალა პოლიტიკური სუბიექტების ქცევა. ამომრჩეველი, პოლიტიკური პარტიები და სადამკვირვებლო ორგანიზაციები არაორდინარულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. პოლიტიკური პარტიების ინდივიდუალური პლატფორმები, მათი საარჩევნო პროგრამები ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა და არჩევნებმა ერთგვარი „რეფერენდუმის“ სახე შეიძინა ევროინტეგრაციის მომხრე და მოწინააღმდეგე პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მიეცემათ თუ არა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საქმიანობის გაგრძელების და არჩევნებზე დაკვირვების შესაძლებლობა.

საია მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს თავისუფალი და სამართლიანი წინასაარჩევნო გარემოს არსებობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების ნდობას არჩევნების შედეგების მიმართ. წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდ და არაძალადობრივ გარემოში ჩატარება კენჭისყრის დღეს მოქალაქეთა მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის წინაპირობაა. სამართლიანი წინასაარჩევნო გარემოს ჩამოყალიბება დამოკიდებულია გამოხატვისა და შეკრების, გაერთიანების, გადაადგილების თავისუფლების რეალიზების შესაძლებლობაზე,

---

[1] ბუბაშვილი მ. საინფორმაციო ბიულეტენი №55, აპრილი, 2024 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 6, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/55_geo.pdf, განახლებულია: 07.07.2024.

[2] „დიმიტრი ხუნდაძე - ევროპაში დამკვიდრებული პრაქტიკა ჩვენთან დეპუტატების სანქცირების საფუძველი თუ გახდება, მაშინ როგორ უნდა ვიყოთ ევროპასთან ასოცირებული?“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/dimitri-khundadze-evropashi-damkvidrebuli-praqtika-chventan-deputatebis-sanqcirebis-safudzveli-tu-gakhdeba-mashin-rogor-unda-viyot-evropastan-asocirebuli, განახლებულია: 23.07.2024.

„არანაირი სტატუსის ფასად არ ღირს ქვეყნის ღირსების დათმობა», საინფორმაციო პორტალი „bm.ge“, 2022 წლის 10 ივნისი, ხელმისაწვდომია: bit.ly/3WhHl4N, განახლებულია: 23.07.2024.

„შალვა პაპუაშვილი - საქართველო, უკრაინასთან, მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან შედარებით, ყველა პარამეტრით ლიდერია, თუმცა არის დაჩაგრული ევროკავშირის მხრიდან, ეს უსამართლობაა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 22 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/792320-shalva-papuashvili-sakartvelo-ukrainastan-moldovasa-da-bosnia-hercegovinastan-shedarebit-qvela-parametrit-lideria-tumca-aris-dachagruli-evrokavshiris-mxridan-es-usamartloba-zalian-samcuxaroa, განახლებულია: 23.07.2024.

„კობახიძემ თან ევროსკეპტიკური განცხადება გაავრცელა და თან ევროინტეგრაციის სამუშაო შეხვედრაზე მივიდა“, საინფორმაციო პორტალი „on.ge“, 2024 წლის 29 იანვარი, ხელმისაწვდომია: bit.ly/3WimU7N, განახლებულია: 23.07.2024.

შიშისა და კონტროლის განცდის არარსებობაზე. არსებითად მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ უარი თქვას პოლიტიკური ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობის ფორმებზე, მათ შორის, საარჩევნო მიზნით ნებისმიერი სახის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამომრჩეველს მუდმივად ექნება შეგრძნება, რომ მონაწილეობს პროცესში, რომლის შედეგი წინასწარ არის განსაზღვრული მმართველი პარტიის ხელთ არსებული არაერთი უპირატესობის გამო. შესაბამისად, თითოეულ ფაქტზე, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს არსებობას, სახელმწიფოს მყისიერი და მიუკერძოებელი რეაგირება ევალება.

1.1. საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა

2023 წლის დეკემბერში საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა[3] იმ დათქმით, რომ ქვეყანა ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრულ 9 რეკომენდაციას შეასრულებდა.[4] კომისიამ დოკუმენტში ხაზი გაუსვა 2024 წლისთვის თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის არსებობის მნიშვნელობას და ქართულ მხარეს ვენეციის კომისიის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (“ეუთო/ოდირი“) რეკომენდაციების სრულად გათვალისწინებისკენ მოუწოდა.[5] მე-5 დათქმის მიხედვით, სახელმწიფოს უნდა გადაედგა ნაბიჯები საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.[6] მე-9 დათქმაში კი კომისია პირდაპირ მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობაზე.[7]

1.2. ცვლილებები მმართველ პარტიაში

30 დეკემბერს მმართველი პარტიის ყრილობაზე „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ განაცხადა.[8] მან პარტიის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა.[9] პარტიის განახლებული წესდების თანახმად, საპატიო თავმჯდომარე პარტიის მთავარ პოლიტიკურ მრჩევლად განისაზღვრა.[10] მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქვეყნის პრემიერ-მინისტ-

---

[3] ოდიკაძე ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №51, დეკემბერი, 2023 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/51_geo.pdf, განახლებულია: 02.07.2024.

[4] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, COM(2023) 690 final, ხელმისაწვდომია: https://neighbourhoodenlargement.ec.europa.eu/system/files/202311/COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf?fbclid=IwAR1bJMX7lRfAMVmEzUFYyUrspewXKos9qgT472d7SGeqw7DZMmBSyjbZ1FY, განახლებულია: 03.07.2024.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[8] ოდიკაძე ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №51, დეკემბერი, 2023 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024), გვ. 9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/51_geo.pdf, განახლებულია: 24.06.2024.

[9] იქვე.

[10] ოდიკაძე ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №52, იანვარი, 2024 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024), გვ. 3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/52_geo.pdf, განახლებულია: 24.06.2024.

რის კანდიდატურის წარდგენაა, რომელიც შემდგომ პოლიტიკურმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.[11] 29 იანვარს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადა.[12] 8 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა, ხოლო ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრად აირჩია.[13]

1.3. მმართველი პარტიის მხრიდან არასამთავრობო სექტორის სტიგმატიზაციის მცდელობები

29 იანვარს, ევროკომისიის 9 დათქმის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა ოპოზიციურ პარტიებთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.[14] შეხვედრაში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიეცათ საქართველოში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაძლიერებაზე მომუშავე ორგანიზაციებს (მათ შორის, საიას), რომლებიც არ იყვნენ პლატფორმის წევრები, თუმცა, წლებია, ევროკავშირის 9 დათქმით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობენ.[15]

დროთა განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან კიდევ უფრო მეტად მწვავდებოდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტიგმატიზაციის კამპანია. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიური იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, რომელიც არასამთავრობო სექტორს თავს არაერთხელ დაესხა.[16] 9 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში ის აღნიშნავს, რომ, „არასამთავრობო ორგანიზაციები თითქმის მთლიანად უცხოეთიდან ფინანსდებიან და არა ქართველი მეცენატების ან ინტერესთა ჯგუფების მიერ“.[17] პაპუაშვილი ასევე ხშირად ხაზგასმით საუბრობდა არასამთავრობო ორგანიზაციების „სიმდიდრეზე“.[18]

1.4. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ რუსული სტილის კანონი

სამოქალაქო სივრცის შევიწროების პროცესმა კულმინაციას მიაღწია 2024 წლის 3 აპრილს, მას შემდეგ, რაც ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ხელახლა წარადგინა 2023 წელს მარტის აქციების შედეგად ჩაგდებული „რუსული კანონის“ იდენტური შინაარსის კანონპროექტი.[19] მისი ხელახალი ინიცი-

[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] ოდიკაძე ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №53, თებერვალი, 2024 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024), გვ. 4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/53_geo.pdf, განახლებულია: 24.06.2024.
[14] „ევროკომისიის 9 დათქმა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობით უნდა შესრულდეს“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/evrokomisiis-9-datqma-samoqalaqo-sazogadoebis-farto-chartulobit-unda-shesruldes#sthash.4n9UiKRS.dpbs, განახლებულია: 07.07.2024.
[15] 10-მა ორგანიზაციამ პარლამენტს მიმართა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა, თუმცა პარლამენტმა თხოვნა არ დააკმაყოფილა.
[16] „შალვა პაპუაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს თავს კიდევ ერთხელ ესხმის“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 2024 წლის 9 თებერვალი, ხელმისაწვდომია, https://publika.ge/shalva-papuashvili-arasamtavrobo-organizaciebs-tavs-kidev-ertkhel-eskhmis/, განახლებულია: 03.07.2024.
[17] იქვე.
[18] იქვე.
[19] „ქართული ოცნება „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტს ხელახლა აინიციირებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/589758, განახლებულია: 15.05.2024.

ირება მოხდა მმართველი გუნდის 2023 წლის დაპირების ფონზე, რომ ისინი ამ კანონს აღარ მიუბრუნდებოდნენ.[20] რუსული სტილის კანონი (ოფიციალური სახელწოდება - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი) ითვალისწინებს მასტიგმატიზებელი რეესტრის შექმნას არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ.[21] კანონის მიხედვით, ასეთი ორგანიზაციები „უცხოური გავლენის ინტერესების გამტარ ორგანიზაციად“ უნდა დარეგისტრირდნენ და შესაბამისი დეკლარაციები წარადგინონ.[22] რეგისტრაციისა და დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მძიმე ფინანსურ სანქციებს, რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის.[23] აღნიშნული ორგანიზაციები ექვემდებარებიან ინტენსიურ მონიტორინგს.[24] კანონის საბოლოო ვერსიის მიხედვით, მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია, ნებისმიერი პირისგან (ფიზიკური პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება) მოითხოვოს ნებისმიერი (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა), მათ შორის, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გადაცემა (ეს ეხება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებსაც).[25]

კანონის ხელახლა წარდგენას მასშტაბური პროტესტი მოჰყვა არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც.[26] ქართულმა მედიამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ინიციირებული მტრული კანონები მიზნად ისახავს მოსახლეობის გახლეჩას, ქვეყნის ევროპული მომავლის დაზიანებას და სიტყვის თავისუფლების გაუქმებას“.[27] ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (ეროვნული პლატფორმა), რომელიც 200-მდე ორგანიზაციას აერთიანებს, კანონის ინიციირების საპასუხოდ, პარლამენტთან თანამშრომლობის მემორანდუმი შეწყვიტა.[28] „რუსული კანონის“ ხელახლა წარდგენამ შეშფოთება გამოიწვია ქვეყნის უცხოელ პარტნიორებშიც. ევროკავშირის, ნატოს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე,

[20] „ქართული ოცნება“ არ აპირებს, მიუბრუნდეს ე.წ. უცხოელი აგენტების კანონს, ეს საკითხი დახურულია“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2023 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/760721-irakli-garibashvili-kartuli-ocneba-ar-apirebs-miubrundes-ec-ucxoeli-agentebis-kanons-es-sakitxi-daxurulia/, განახლებულია: 03.07.2024.

[21] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი.

[22] იქვე, მუხლი 4.

[23] იქვე, მუხლი 9.

[24] იქვე, მუხლი 8.

[25] იქვე, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

[26] მათ შორის, აქციები გაიმართა ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისსა და გორში. იხ. „ბათუმში სტუდენტები მსვლელობას - „კი ევროპას, არა რუსულ კანონს” გამართავენ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 6 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/798350-batumshi-studentebi-msvlelobas-ki-evropas-ara-rusul-kanons-gamartaven/, განახლებულია: 12.07.2024; „აქცია ზუგდიდში“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 20 მაისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/aqcia-zugdidshi-18/, განახლებულია: 12.07.2024; „ქუთაისში, აქცია „კი ევროპას, არა რუსულ კანონს“ გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 17 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/795770-kutaisshi-akcia-ki-evropas-ara-rusul-kanons-gaimarta/, განახლებულია: 12.07.2024; „აქცია - „არა, რუსულ კანონს» გორშიც მიმდინარეობს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/798556-akcia-ara-rusul-kanons-gorshic-mimdinareobs/, განახლებულია: 12.07.2024.

[27] „კი - ევროპას, არა - რუსულ კანონს!“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: http://nodiscrimination.gyla.ge/ge/post/yes-to-europe-no-to-russian-law, განახლებულია: 24.07.2024.

[28] „არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი პარლამენტთან კანონპროექტზე თანამშრომლობას წყვეტს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/601496601496, განახლებულია: 15.05.2024.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ცალკეული სახელმწიფოების თანამდებობის პირებმა და პოლიტიკოსებმა ეს ფაქტი მკვეთრად უარყოფითად შეაფასეს.[29] ევროპარლამენტის 25 აპრილის რეზოლუციაში მკაფიოდ ჩაიწერა, რომ „რუსული კანონის“ მიღების შემთხვევაში საქართველოსთან ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გახსნა გამორიცხულია.[30] ევროპის 12 ქვეყნის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, რომ ეს კანონი ქართველი ხალხისა და მათი ევროპული მისწრაფებების წინააღმდეგ „მტრული ნაბიჯია“.[31] ევროპაში აშშ-ის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (ე.წ. ჰელსინკის კომისია) თქმით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმდებლობა „საქართველოს კანდიდატის სტატუსის თვითსაბოტაჟია“.[32] გარდა ამისა, 8 აპრილს 400-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ისინი ხელისუფლებას კანონპროექტის უკან გაწვევისკენ მოუწოდებდნენ.[33] განცხადებაში ორგანიზაციები აპელირებდნენ იმ შედეგებზე, რომლებიც კანონპროექტის მიღებას მოჰყვებოდა საშინაო თუ საგარეო მიმართულებით.[34]

კანონის ინიციირებას და მიღების პროცესს თან ახლდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან მკვეთრად ანტიდასავლური რიტორიკა. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები აქტიურად ავრცელებენ შეთქმულების თეორიას „გლობალური ომის პარტიის შესახებ, რომელიც, თითქოს, ევროატლანტიკური სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას“.[35] საპროტესტო აქციების საპასუხოდ, „ქართულმა ოცნებამ“ 29 აპრილს „რუსული კანონის“ მხარდასაჭერი აქცია გამართა,[36] მასზე დასასწრებად კი მონაწილეების დიდი ნაწილი რეგიონებიდან ჩამოიყვანა.[37] აქციაზე პოლიტიკოსების მხრიდან ისმოდა კონსპირაციული, ანტიდასავლური და „სუვერენისტული“ განცხადებები.[38]

---

[29] „საერთაშორისო გამოხმაურება“, ვებპორტალი „csogeorgia.org“, 2024 წელი, ხელმისაწვდომია: https://csogeorgia.org/ge/pages/International-statements, განახლებულია: 22.07.2024.

[30] „ევროპარლამენტის რეზოლუცია: სანამ „უცხოელი აგენტების“ კანონი იარსებებს, გაწევრიანების მოლაპარაკებები ვერ დაიწყება“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/601437, განახლებულია: 29.05.2024.

[31] „ევროპის 12 ქვეყნის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები: „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტი „მტრული ნაბიჯია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 6 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/601437, განახლებულია: 15.05.2024.

[32] „ჰელსინკის კომისია: „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონმდებლობა საქართველოს კანდიდატის სტატუსის თვითსაბოტაჟია“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 6 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590562, განახლებულია: 15.05.2024.

[33] „400-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტს გმობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/590777, განახლებულია: 15.05.2024.

[34] იქვე.

[35] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, აპრილი - მაისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3v9UKPe, განახლებულია: 30.07.2024.

[36] „ვიღაცამ FB გატეხა“ – თერჯოლის მერის წარმომადგენელი კონტრაქციის ფოტოასლებზე“, საინფორმაციო პორტალი „netgazeti.ge“, 2024 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/719147/, განახლებულია: 04.07.2024.

[37] „აქციაზე ხალხი რეგიონებიდან ჩამოიყვანეს“, საინფორმაციო პორტალი „FormulaNews“, 2024 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/4qWYI, განახლებულია: 24.07.2024.

[38] „ქართული ოცნების“ ლიდერები ანტიდასავლურ, სუვერენისტულ, კონსპიროლოგიურ რიტორიკას ამძაფრებენ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/602419, განახლებულია 15.05.2024.

რუსული სტილის კანონის საწინააღმდეგო აქციების მიმდინარეობის პარალელურად, პროტესტის მონაწილეების მიმართ ხელისუფლებამ წამოიწყო ორგანიზებული, სისტემური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა და ძალადობის მუქარა.[39] პოლიტიკური, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით იდევნებოდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და აქციის მონაწილეები.[40] კანონის მოწინააღმდეგეებს, მათი ოჯახების წევრებს და ჟურნალისტებს უცხო ნომრებიდან ურეკავდნენ, აქციებში მონაწილეობის გამო აგინებდნენ და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ.[41]

2024 წლის 4 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სამოქალაქო აქტივისტი და ბიზნესმენი იოსებ ბაბაევი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას[42] ბრალდებით დააკავეს.[43] ის რუსული სტილის კანონის საწინააღმდეგო აქციებში მონაწილეობდა.[44]

ბაბაევის ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დაკავების მომენტში ფიზიკურად გაუსწორდნენ და ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდეს.[45] თავად ბაბაევი აცხადებდა, რომ, ფიზიკური ანგარიშსწორების პარალელურად, პოლიციის თანამშრომლები მას ფოტოებს უღებდნენ.[46] 6 ივნისს გამართულ სასამართლო პროცესზე მოსამართლე ლევან დარბაიძემ საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, საპროცესო კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევების გამო, უკანონოდ ცნო.[47] შესაბამისად, ამ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული ინფორმაცია, ნივთები და საგნები დაუშვებელ მტკიცებულებებად გამოცხადდა.[48] იოსებ ბაბაევი სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლეს. 14 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა გადაწყვეტილება და ბაბაევის ავტომობილიდან ამოღებული იარაღი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია. ამის საფუძველზე, მას ბრალი წაუყენეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლით.[49] შესაბამისად, სამოქალაქო აქტივისტი, რომელიც მოსამართლის მიერ ერთხელ უკვე გათავისუფლდა, შესაძლოა, კვლავ ციხეში აღმოჩნდეს.

არაერთ შემთხვევაში, სავარაუდოდ ხელისუფლების მიერ მართული და ორგანიზებული არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფები კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა მიმართ ფიზიკურად ძალადობდნენ.[50] ისინი აქციაზე სცემდნენ დემონსტრანტებს,[51]

---

[39] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
[40] იქვე, გვ. 9.
[41] იქვე, გვ. 19.
[42] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი.
[43] „სამოქალაქო აქტივისტის იოსებ ბაბაევის საქმეზე მოსამართლე ლევან დარბაიძემ საგამოძიებო მოქმედებები უკანონოდ ცნო“, საინფორმაციო პორტალი „qartli.ge“, 2024 წლის 6 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/21616-ioseb-babaevis-saqmeze-mosamarthle-levan-darbaidzem-sagamodziebo-moqmedebebi-ukanonod-miichnia, განახლებულია: 02.07.2024.
[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] იქვე.
[47] იქვე.
[48] იქვე.
[49] „ბიზნესმენსა და სამოქალაქო აქტივისტ იოსებ ბაბაევს ბრალი წაუყენეს”, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 3 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/805061-biznesmensa-da-samokalako-aktivists-ioseb-babaevs-brali-cauqenes, განახლებულია: 26.07.2024.
[50] „2024 წლის 5 მაისს, აღდგომის დღესასწაულზე, გურიის რაიონში, ლანჩხუთში თავს დაესხნენ ლადო აფხაზავას და მის ვაჟს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2024 წლის 7 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/604252, განახლებულია: 03.07.2024.
[51] ”Beatings, Arrests In Georgia As Protests Against Controversial Law Continue“, საინფორმაციო პორტალი

ორგანიზატორებად იდენტიფიცირებულ პირებს[52] და მათი ოჯახის წევრებს ხვდებოდნენ სახლებთან, ქუჩაში, სადაც მათ სასტიკად უსწორდებოდნენ“.[53] 1-ელ ივნისს ჯოხებით, ქვებით და სხვა საგნებით შეიარაღებული ათობით პირი თავს დაესხა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს.[54] მათ შენობის ფანჯრები ჩაამტვრიეს.[55] 8 ივნისს ზესტაფონში ამავე პარტიის ოფისი გაქურდეს,[56] საიდანაც, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა ინფორმაციით, სხვადასხვა სახის ტექნიკა წაიღეს.[57] დაუდგენელმა პირებმა ოფისში შესვლა, სავარაუდოდ, შენობის უკანა მხრიდან არსებული ფანჯრიდან შეძლეს. პარტიის წარმომადგენლების თქმით, არცერთ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენთა პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. ამის თაობაზე ინფორმაცია არც საგამოძიებო ორგანოს გაუვრცელებია.

სავარაუდოდ მმართველ პარტიასთან დაკავშირებულმა პირებმა დააზიანეს სამოქალაქო აქტივისტების ავტომანქანები, საცხოვრებელ სახლებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებთან გააკრეს პლაკატები ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გამოსახულებებით, ასევე, გააკეთეს სხვადასხვა მასტიგმატიზებელი წარწერა.[58]

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მოტივი და შერჩეულ ადრესატთა წრე, ისევე, როგორც სახელმწიფო უწყებების მხრიდან რეაგირების არქონა მიუთითებს, რომ სისტემური ძალადობა და ძალადობის მუქარა ხელისუფლების, სახელმწიფო ინსტიტუტების ორგანიზებითა და ჩართულობით ხორციელდებოდა. 2024 წლის 31 მაისს საჯაროდ გავრცელებულმა განცხადებამ და ვიდეოჩანაწერმა ცხადყო, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ დეპუტატი დიმიტრი სამხარაძეა ის ერთ-ერთი პირი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და რუსული კანონის სხვა მოწინააღმდეგეების მიმართ ორგანიზებულ დევნას[59] ახორციელებდა, რაც კონკრეტული ჯგუფის გამორჩევასა და მის მიმართ სხვადასხვა რეპრესიული ზომის (მაგალითად, სატელეფონო ზარები, კერძო საკუთრების დაზიანება) მიღებაში გამოიხატებოდა.[60] სოციალურ ქსელში დიმიტრი სამხარაძემ გაავრცელა ვიდეოების კოლაჟი, რომელშიც ჩანს, როგორ არის დაზიანებული სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ოფისები.[61] სამხარაძე აღიარებს, რომ ეს ფაქტები მის

“Radio FreedomEurope”, 2024 წლის 9 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.rferl.org/a/georgia-tbilisi-foreign-agents-law-protest/32939363.html, განახლებულია: 03.07.2024.

[52] „თბილისის ქუჩებში აქტივისტებზე თავდასხმა განხორციელდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 8 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/604748, განახლებულია: 03.07.2024.

[53] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 9.

[54] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ცენტრალურ ოფისს თავს დაესხნენ“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/pfbid0vQ24sMHs3Lq2eTH7LYqJGF2ZTUGBxkMdwXop6Vn57uG4BjsDQRs44CHAY1uCdnU7l, განახლებული: 03.07.2024.

[55] იქვე.

[56] „ზესტაფონში ნაციონალური მოძრაობის ოფისი გაქურდეს“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულა“, 2024 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/112697, განახლებულია: 02.07.2024.

[57] იქვე.

[58] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 20.

[59] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი.

[60] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 20.

[61] „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ პარტიებთან და ორგანიზაციებთან ტიტუშკებს აგზავნის“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/718849-kartulma-otsnebam-aghiara-rom-partiebtan, განახლებულია: 03.07.2024.

მიერ არის ორგანიზებული და წერს: „[...] ერთმანეთის დანახვაც არ მოგინდებათ, ისე მოგექცევით! [...]“.[62]

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა:[63]

- შეკრების თავისუფლების უხეში დარღვევა;[64]
- სამართალდამცველთა მხრიდან სისტემური ძალადობა;[65]
- უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან ძალადობის წახალისება;[66]
- სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმების ინსტრუმენტალიზაცია პროტესტის მონაწილეთა დასაშინებლად; [67]
- აქციის მონაწილეების, პროტესტის მხარდამჭერების, სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების და მათი ოჯახის წევრების (მათ შორის, ბავშვების და ოჯახის ხანდაზმული წევრების) დაშინება, მათ მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და ფიზიკურ ანგარიშსწორება.[68]
- ოპოზიციური პარტიის ოფისზე თავდასხმა.[69]

საქართველოს სახალხო დამცველმა 13 მაისს გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმადაც, მან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა ოპოზიციის წევრებზე, აქტივისტებზე, ჟურნალისტებზე, კანონპროექტის წინააღმდეგ აქციაში მონაწილე მოქალაქეებზე თავდასხმების დროული და ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნით.[70] ომბუდსმენის განცხადებას შედეგი არ მოჰყოლია. სამოქალაქო აქტივისტებსა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე ინტენსიური თავდასხმების ფონზე, ხელისუფლებას ზომების მიღებისა და ინციდენტების ზედმიწევნით გამოძიებისკენ მოუწოდეს დიპლომატიურმა მისიებმაც.[71]

2024 წლის 21 მაისს გამოქვეყნებულ შეფასებაში ევროპულმა კომისიამ სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის („ვენეციის კომისია“) გასცა მკაფიო რეკომენდაცია ამ ფორმით არსებული კანონის გაუქმების თაობაზე.[72] კომისიის შეფასებით, კანონის ფუნდამენტური ნაკლოვანებები მოიცავს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას

---

[62] იქვე.

[63] „საქართველო: ადამიანის უფლებები „რუსული კანონის“ პირისპირ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

[64] იქვე.

[65] იქვე.

[66] იქვე.

[67] იქვე.

[68] იქვე.

[69] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ცენტრალურ ოფისს თავს დაესხნენ“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/nacionalurimodzraoba/posts/pfbid0vQ24sMHs3Lq2eTH7LYqJGF2ZTUGBxkMdwXop6Vn57uG4BjsDQRs44CHAY1uCdnU7l, განახლებული: 03.07.2024.

[70] „სახალხო დამცველი მომიტინგეების პოლიტიკური, საქმიანობისა და მოსაზრების ნიშნით დევნაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606221, განახლებულია: 21.06.2024.

[71] „სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ დაშინებისა და ძალადობის კამპანიას საერთაშორისო რეაგირება მოჰყვა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 11 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/605290, განახლებულია: 21/06/2024.

[72] VENICE COMMISSION, GEORGIA URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE, 21.05.2024, CDL-PI(2024)013, Opinion No. 1190/2024.

გაერთიანებისა და გამოხატვის, პირადი ცხოვრების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებსა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე.[73] საბოლოოდ, ეს ზეგავლენას მოახდენს ღია, ინფორმირებულ საჯარო დებატებზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე.[74] ვენეციის კომისია ცხადად ასკვნის, რომ ეს კანონი იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის სტიგმატიზაციას, აყენებს მათ გაჩუმების და ლიკვიდაციის რისკის ქვეშ.[75]

მოქალაქეების პროტესტისა და დასავლელი პარტნიორების წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა 14 მაისს, 84 ხმით 30-ის წინააღმდეგ, „რუსული კანონი" მესამე და საბოლოო მოსმენით მიიღო.[76] აღსანიშნავია, რომ საკომიტეტო მოსმენები დეპუტატების გაძევებისა და ცენზურის ფონზე მიმდინარეობდა.[77] კანონპროექტის მიღების შემდეგ რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა ბოიკოტი გამოუცხადა როგორც საპარლამენტო, ასევე ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობას.[78] 18 მაისს პრეზიდენტმა კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს დაუბრუნა (კანონპროექტს ვეტო დაადო).[79] 2024 წლის 28 მაისს პარლამენტმა ვეტო დაძლია. 2024 წლის 3 ივნისს კანონპროექტს ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა.[80]

1.5. სანქციები

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მეთიუ მილერმა 6 ივნისს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ათობით მოქალაქეს სანქციების პირველი ტრანში დაუწესა.[81] მეთიუ მილერის თქმით, მათ შორის არიან პოლიტიკური თანამდებობის ის პირები (და მათი ოჯახის წევრები), რომლებიც პასუხისმგებელნი ან თანამონაწილენი არიან „საქართველოს დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრაში ისეთი ქმედებებით, როგორებიცაა მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლების უგულებელყოფა, მშვიდობიან მომიტინგეებზე თავდასხმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დაშინება და საქართველოს მთავრობის მითითებით დეზინფორმაციის განზრახ გავრცელება".[82]

---

[73] იქვე, para. 100.

[74] იქვე.

[75] იქვე, para. 98.

[76] „პროტესტის ფონზე, პარლამენტმა „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606456, განახლებულია: 21.06.2024.

[77] „რუსული კანონის საკომიტეტო მოსმენა დეპუტატების გაძევებისა და ცენზურის ფონზე მიმდინარეობს", 2024 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/rusuli-kanonis-sakomiteto-mosmena-deputatebis-gadzevebisa-da-cenzuris-fonze-mimdinareobs#sthash.E0Jk3wFs.dpbs, განახლებულია: 03.07.2024.

[78] „რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2024 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/606596, განახლებულია: 21.06.2024.

[79] „პრეზიდენტმა რუსულ კანონს ვეტო დაადო", საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=206&appeals_id=396, განახლებულია: 07.03.2024.

[80] „აგენტების კანონს" შალვა პაპუაშვილმა ხელი მოაწერა», საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32976762.html, განახლებულია: 22.07.2024.

[81] „აშშ-მა ათობით საქართველოს მოქალაქეს სანქციების პირველი ტრანში დაუწესა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 6 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611917, განახლებულია: 02.07.2024.

[82] იქვე.

1.6. ლგბტ+ თემის მიმართ სიძულვილის წახალისება

მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ კვლავ გააქტიურდა ლგბტ+ თემის მიმართ სიძულვილის წამახალისებელი რიტორიკა და ამ უარყოფითი განწყობების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მცდელობა. კონსერვატიული ამომრჩევლების მოსაზიდად ჰომოფობიური მიდგომების პრაქტიკას ხელისუფლება წინა წლებშიც მიმართავდა, თუმცა 2024 წელს მმართველი პარტიის ქმედებები, თავისი მასშტაბების გათვალისწინებით, გაცხადებულ პოლიტიკურ ჰომოფობიაზე მიუთითებს.

27 ივნისს პარლამენტმა, 78 ხმით არცერთის წინააღმდეგ, „ქართული ოცნების“ მიერ ინიციირებული „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი პირველი მოსმენით მიიღო.[83] საკანონმდებლო პაკეტი 19 კანონპროექტისგან შედგება. აქედან ერთი ძირითადია, 18 კი - მასთან დაკავშირებული კანონპროექტები. ძირითადი კანონპროექტის მიხედვით, კანონით წესრიგდება ქორწინება ან მასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებს ერთი გენეტიკური მამაკაცის და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს. შვილად აყვანის უფლება მიენიჭათ მხოლოდ განსხვავებული სქესის მქონე პირთა წყვილს ან ჰეტეროსექსუალ ადამიანს. კანონი კრძალავს ისეთი მასალის, შინაარსის, პროგრამის ტირაჟირებას, პირთა შეკრებას ან ინფორმაციის სკოლაში გავრცელებას, რომელიც, შესაძლოა, სახელმწიფომ „არატრადიციული ურთიერთობების პოპულარიზაციად” მიიჩნიოს. ამგვარი რეგულირება, სინამდვილეში, დაუსაბუთებლად ზღუდავს შეკრების, გამოხატვის, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებებს და ლგბტქი თემის სტიგმატიზაციას იწვევს. ამ კანონპროექტს წინ უძღოდა ლგბტქი თემის წინააღმდეგ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივა.[84]

საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით 2024 წლის 27 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა შეშფოთება გამოთქვა.[85] მან დაგმო ჰომოფობიური იდეების, მავნე სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გავრცელება, რასაც მმართველი პარტია წინასაარჩევნო მანიპულირებისთვის იყენებს.[86] ვენეციის კომისიის შეფასებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და ვენეციის კომისიის წინა მოსაზრებების გათვალისწინებით, შესწორებების შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან ვერ მოიძებნა, შესაბამისად, კონსტიტუციური კანონის უბრალო შეთავაზებაც კი საქართველოში ლგბტქი ადამიანების წინააღმდეგ მტრული და მასტიგმატიზებელი გარემოს გამწვავების ხიფათს აჩენს.[87]

---

[83] „პარლამენტმა „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი პირველი მოსმენით მიიღო“, პირველი არხი, 2024 წლის 27 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/parlamentma-ojakhur-ghirebulebata-da-arasrulwlovanta-dacvis-shesakheb-sakanonmdeblo-paketi-pirveli-mosmenit-miigho/, განახლებულია: 24.07.2024.

[84] საქართველოს პარლამენტი, კანონპროექტი: „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2024 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KZUASo, განახლებულია: 15.07.2024.

[85] Georgia: political manipulation and harassment of LGBTI people and human rights defenders have no place in a democratic society, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/fi/web/commissioner/-/georgia-political-manipulation-and-harassment-of-lgbti-people-and-human-rights-defenders-have-no-place-in-a-democratic-society, განახლებულია: 03.07.2024.

[86] იქვე.

[87] Venice Commission , Opinion of the on the draft Constitutional Law on protecting family values and minors CDL-REF(2024)020, para. 104, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR16RADXkSPb4AkHQWtfpd2Be5l9mQ89rQNeqg2EsqJ6wWV1lh8ZfVnG2ok_aem_IqD_of1Q-XFOeG0Cj18q5A, განახლებულია: 02.07.2024.

1.7. პრეზიდენტის ინიციატივა - „ქართული ქარტია“

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პოლიტიკური კრიზისის მოგვარებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე დაბრუნების საგზაო რუკა „ქართული ქარტია“ წარმოადგინა.[88] მისი თქმით, 2024 წლის ოქტომბრის არჩევნები იქნება რეფერენდუმი ამ საგზაო რუკის ძირითად დებულებებზე ხმის მიცემის შესახებ. სალომე ზურაბიშვილის განმარტებით, დოკუმენტი თავისი არსითა და სულისკვეთებით ასევე ემსახურება იმ მთავარი ნაბიჯების გადადგმას, რომლებსაც საზოგადოებისთვის დღეს ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს.[89] ნაბიჯები, რომელთა შესრულების ვალდებულებას ამ ქარტიაზე ხელმომწერნი იღებენ, არის ქვეყნის ევროპული კურსისთვის დამაზიანებელი კანონების გაუქმება, საარჩევნო სისტემის გაჯანსაღება, მართლმსაჯულების სისტემის გათავისუფლება და ნდობის აღდგენა. ქარტიის მიხედვით, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ტექნიკურ, უპარტიო მთავრობას პრეზიდენტი წარმოადგენს, ხოლო ხელმომწერი პარტიები იღებენ ვალდებულებას, საგაზაფხულო სესიის დროს შეასრულონ ქარტიის ამოცანები და 2025 წლის შემოდგომისთვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნონ. ამასთანავე, შექმნან გარემო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის.[90] ქარტიის სულისკვეთება ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა გაიზიარა, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა ხელმოწერაზე უარი განაცხადა.[91]

1.8. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი

ბოლო პერიოდში პოლიტიკურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ გარკვეული საკადრო ცვლილებები განხორციელდა. 2023 წლის იანვარში თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილის არჩევის შემდეგ პარტია არაერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა დატოვა. 2023 წლის ივნისში პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციას ხატია დეკანოიძე და რომან გოცირიძე გამოეყვნენ[92] და საპარლამენტო ჯგუფი „ევროოპტიმისტები“ შექმნეს.[93]

2023 წლის ივლისში პარტიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ გაერთიანდნენ პოლიტიკურ ალიანსში „გამარჯვების პლატფორმა“.

---

[88] „პრეზიდენტი: წარმოგიდგენთ სამოქმედო გეგმას - „ქართულ ქარტიას“, 2024 წლის 26 მაისი, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=206&appeals_id=398, განახლებულია: 21.06.2024.

[89] იქვე.

[90] იქვე.

[91] „ქართულ ქარტიას“ 3 ივნისს ხელი მოაწერეს შემდეგმა პარტიებმა: სამართლიანობისთვის, მწვანეთა პარტია, გირჩი – მეტი თავისუფლება და დროა, ევროპელი დემოკრატები, სტრატეგია აღმაშენებელი, ევროპული საქართველო, რესპუბლიკური პარტია, ანა დოლიძე ხალხისთვის, ახალი, ლელო საქართველოსთვის, მოქალაქეები, თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სამართალი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სახელმწიფო ხალხისთვის, ასევე, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა: ხატია დეკანოიძემ, ნატო ჩხეიძემ, არმაზ ახვლედიანმა, როსტომ ჩხეიძემ, თამარ კორძაიამ. პარტიის „საქართველოსთვის“ წევრთა პოზიციით, ისინი მხარს უჭერენ ქარტიით გათვალისწინებული რეფორმების ნაწილს, თუმცა დოკუმენტზე ხელის მოწერას არ აპირებენ, ვინაიდან მათთვის წინააღმდეგობრივი საკითხებია ტექნიკური მთავრობის ფორმირებისა და 2025 წელს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების იდეები. დოკუმენტის ხელმოწერაზე ასევე უარი თქვა პარტია „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ.

[92] „საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ევროოპტიმისტების“ რეგისტრაციას მხარი დაუჭირა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/kwh5iGhc, განახლებულია: 04.07.2024.

[93] იქვე.

გაერთიანების მთავარი მიზანი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ბიძინა ივანიშვილის რუსულ რეჟიმთან“ ბრძოლა და პროდასავლური პოლიტიკის გაძლიერებაა.[94] მათ სხვა პროდასავლურად მოაზროვნე ადამიანებს მოუწოდეს, პლატფორმას შეერთებოდნენ.[95]

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების მორიგი ტალღა მას შემდეგ გააქტიურდა, რაც 2023 წლის დეკემბერში თავმჯდომარეობის არჩევნებში ლევან ხაბეიშვილმა ნიკა მელიას წინააღმდეგ გაიმარჯვა.[96] მელია-ხაბეიშვილის დაპირისპირების ფონზე პარტია დატოვეს სხვადასხვა საკრებულოს წევრებმა, პოლიტიკურმა ლიდერებმა.[97]

„ნაციონალურ მოძრაობაში“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება 2024 წლის 8 ივნისს განხორციელდა, როდესაც ლევან ხაბეიშვილმა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ექიმების რეკომენდაციით, თავმჯდომარის პოზიცია დატოვა.[98] პარტიის ახალი თავმჯდომარე პარლამენტის წევრი თინათინ ბოკუჩავა გახდა.[99] ამ შემთხვევაში, თავმჯდომარის წინა ცვლილებისგან განსხვავებით, შიდაპარტიული არჩევნები არ ჩატარებულა.

ნიკა მელიამ პოლიტიკური კარიერა ნიკა გვარამიასთან ერთად გააგრძელა. 2024 წლის მარტში მათ პოლიტიკური პარტია „ახალი“ დააარსეს. პარტიის პრეზენტაციაზე მათ განაცხადეს, რომ მზად არიან სხვა პარტიებთან თანამშრომლობისთვისაც.[100] აღსანიშნავია, რომ ნიკა მელიასთან თანამშრომლობას განიხილავდა პარტია „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე,[101] თუმცა ამ დრომდე ამ მიმართულებით რაიმე პროგრესის შესახებ ცნობილი არ არის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ გარდა, კიდევ ერთი პოლიტიკური ალიანსი ჩამოყალიბდა პარტიებს შორის: „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „დროა“.[102] ეს ალიანსი დამყარებულია საერთო პრინციპებზე, როგორებიცაა: „ნულოვანი თანამშრომლობა რუსულ რეჟიმთან; მომავლის მკაფიო

---

[94] „ნაციონალური მოძრაობა და სტრატეგია აღმაშენებელი ახალ პოლიტიკურ პლატფორმას ქმნიან“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი“, 2023 წლის 20 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/94551, განახლებულია: 03.07.2024.

[95] იქვე.

[96] „ნიკა მელია „ნაციონალურ მოძრაობას“ ტოვებს და საკუთარი პარტიის შექმნის გეგმებზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 8 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/573247, განახლებულია: 04.07.2024.

[97] მაგ. საკრებულოს ფრაქციები დატოვეს თბილისის, ბათუმის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ხობის საკრებულოების წევრებმა. დამატებით იხ. თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №51, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), დეკემბერი, 2023.

[98] „ლევან ხაბეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა, მას თინა ბოკუჩავა შეცვლის“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდი, 2024 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/levan-khabeishvili-nacionaluri-modzraobis-tavmjdomaris-tanamdebobidan-gadadga/, განახლებულია: 08.07.2024.

[99] იქვე.

[100] „ნიკა გვარამიამ მელიასთან ერთად ახალი პარტიის პრეზენტაცია გამართა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2024 წლის 11 მარტი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/713152/, განახლებულია: 04.07.2024.

[101] „ხაზარაძე: მე და ნიკა მელია სტრატეგიულად პარტნიორები ვიქნებით“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 27 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32748322.html, განახლებულია: 04.07.2024.

[102] „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ საარჩევნო გაერთიანებას ქმნიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558021, განახლებულია: 04.07.2024.

ხედვა; მოტივაცია, შეიცვალოს საბჭოთა, ერთპარტიული სისტემა თანამედროვე, დასავლური ტიპის, კოალიციური მმართველობით“.[103] პოლიტიკურმა გაერთიანებამ წამოიწყო ერთობლივი კამპანია „საარჩევნო ყუთი შენს ქალაქში“, რომლის მიზანია ემიგრანტებისთვის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მაქსიმალურად გამარტივება უცხოეთში საარჩევნო უბნების რაოდენობის გაზრდით.[104]

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დამოუკიდებლად აგრძელებენ ბრძოლას პარტიები „ლელო“ და „საქართველოსთვის“. პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ ისინი სხვა პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანებას არ აპირებენ.[105] აღსანიშნავია, რომ პარტია „საქართველოსთვის“ კოალიციაში იყო პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ რუსთავისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში. თუმცა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლის შემდეგ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოხერხდა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიდან ფრაქცია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლის გადაყენება.[106] მსგავსი ტენდენციაა ამჟამად ზუგდიდის მუნიციპალიტეტშიც, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე ჯერჯერობით ინარჩუნებს პოზიციებს, ვინაიდან ამ დრომდე კვორუმი ვერ შეიკრიბა.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრს 2024 წლის მარტში შეემატა ახალი პარტია „ხალხის ძალა“, რომელიც ფრაქცია „ქართული ოცნებისგან“ გამოყოფილი დეპუტატებით დაკომპლექტდა.[107] აღსანიშნავია, რომ ამ პარტიის დეპუტატები, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობას ქმნიან. „ხალხის ძალა“ მოძრაობად 2022 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა. ისინი მკვეთრად ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩეოდნენ.[108] პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად აპირებს და მისი მიზანი არა მხოლოდ 5%-იანი ბარიერის გადალახვა, არამედ უმრავლესობაში მოსვლაა. ისინი ასევე არ გამორიცხავენ კოალიციის შექმნას პარტია „ქართულ ოცნებასთან“.[109]

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა პარტიის გაუქმების პრეცედენტიც. 2024 წლის აპრილში, ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ პარტია „ალტ-ინფოს“ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება გააუქმა.[110] პარტიის ლიდერთა განმარტებით, ისინი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდნენ, თუმცა, რეგისტრაციის გაუქმების შედეგად, არჩევნებში მონაწილეობაც აეკრძალათ. მსგავსი შემ-

[103] იქვე.

[104] „საარჩევნო ყუთი შენს ქალაქში» - ინიციატივა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამოქალაქეებისთვის“, საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“, 2023 წლის 28 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/p5qD3, განახლებულია: 07.04.2024.

[105] „გახარია: არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 23 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/713309-gakharia-aravistan-gaertianebas-ar-vapirebt, განახლებულია: 04.07.2024.

[106] „რუსთავის მერია საკრებულოს წინააღმდეგ“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2023 წლის 30 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ehxBP, განახლებულია: 04.07.2024.

[107] „პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი იქნება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 18 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/90juge, განახლებულია: 04.07.2024.

[108] „ხალხის ძალამ“ პოლიტიკური პარტია ოფიციალურად დაარეგისტრირა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 18 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/587654, განახლებულია: 04.07.2024.

[109] იქვე.

[110] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #P24000027/0-1 გადაწყვეტილება „რეგისტრაციის შესახებ #P21000039/0-1 (07/12/2021) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cyv7ey, განახლებულია: 08.07.2024.

თხვევა კვლავ განმეორდა, როდესაც „ალტ-ინფოს“ პარტია აჩუქეს,[111] თუმცა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართვის[112] საფუძველზე, საკითხის გადაწყვეტამდე, ცესკომ პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის პროცედურები შეაჩერა.[113] „ალტ-ინფო“ განსაკუთრებული რადიკალური მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პარტიაა, რომლის ლიდერებიც ხშირად სტუმრობენ მოსკოვს, ამასთანავე, გამოირჩევიან ანტიდასავლური რიტორიკით, ჰომოფობიური განცხადებებითა და სიძულვილის ენის გავრცელებით. მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის გაუქმება იმ საფუძვლით, რომ მისი რეგისტრაციის დოკუმენტებში გამოვლინდა წლების წინ დაშვებული ხარვეზები, სახიფათო პრეცედენტს ქმნის. ჩნდება ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ არაკეთილსინდისიერად იყენებს ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებულ გავლენებს და ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნის მის ელექტორალურ კონკურენტს, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება თავისუფალ, დემოკრატიულ საარჩევნო პროცესს.

[111] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეა“.

[112] სააგენტომ ცესკოს აცნობა, რომ მათ წარმოებაში აქვთ საჩივარი, რომელიც ეხება მპგ-ის „ქართული იდეა“ რეგისტრირებული მონაცემების კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხს.

[113] „ცესკოს განცხადება მპგ-ის „ქართული იდეა“ შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033390-tseskos-gantskhadeba-mpg-is-kartuli-idea-shesakheb, განახლებულია: 08.07.2024.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია

2.1. ცესკოს დაკომპლექტების წესი

2021 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) წევრთა რაოდენობა 17-მდე გაიზარდა, რაც პოლიტიკური პარტიების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღწევას ემსახურებოდა.[114] ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების სრული ვადით თანამდებობაზე გასამწესებლად პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა 2/3 გახდა საჭირო.[115] მაღალი კვორუმის შემოღება კანდიდატებთან დაკავშირებით კონსენსუსის ფორმირებას ისახავდა მიზნად. ჩიხური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, ცესკოს წევრისა და თავმჯდომარის არჩევის პროცედურა ასევე მოიცავდა ანტიკრიზისულ მექანიზმს. ეს ნიშნავდა, რომ, თუ ხმების საჭირო რაოდენობა პირველ ჯერზე ვერ შეგროვდებოდა, კანდიდატს მეორედ (2/3 ხმების უმრავლესობით), მესამედ (3/5 ხმების უმრავლესობით), მეოთხედ (უბრალო უმრავლესობით) ეყრებოდა კენჭი. უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში, არჩეული პირი 6 თვით დაიკავებდა თანამდებობას. ცესკოს უპარტიო წევრებს პარლამენტს პრეზიდენტი წარუდგენდა. თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების შერჩევის შემოთავაზებული მოდელი პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევას ემსახურებოდა, რასაც, საერთო ჯამში, ხელი უნდა შეეწყო ცესკოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის, მიმართ ნდობის გაძლიერებისთვის. ამისთვის სიმბოლური ნაბიჯი იყო ასევე ცესკოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ ოპოზიციური პარტიის წევრის დანიშვნა.[116]

2021 წლის რეფორმის შედეგად შემუშავებული საკანონმდებლო ჩარჩო, მმართველი პარტიის ინიციატივით, არაერთხელ შეიცვალა და გაუარესდა. ცვლილებებით გაუქმდა კონსენსუსის მისაღწევად პარტიებს შორის მოლაპარაკებების საჭიროება, შესაბამისად, მმართველ პარტიას მოეხსნა ყველანაირი სამართლებრივი ბარიერი, რომელიც ცესკო ერთპიროვნულად დაკომპლექტებას აფერხებდა და პროცესს აბალანსებდა.

2023 წლის ზაფხულში საარჩევნო კოდექსსა და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ შეტანილი ცვლილებებით, ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების სრული ვადით (5 წლით) ასარჩევად დადგენილი კვორუმი შერჩევისთვის საჭირო პარლამენტის წევრთა 2/3-იდან სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობამდე შემცირდა. კომისიის დაკომპლექტების პროცესს, ფაქტობრივად, ჩამოსცილდა საქართველოს პრეზიდენტი. კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და პარლამენტისთვის კანდიდატთა წარდგენის უფლებამოსილება, მის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარეს მიენიჭა. პრეზიდენტის ინსტიტუტი ამ პროცესში მხოლოდ ფორმალურად დარჩა და ცხრა წევრიან საკონკურსო კომისიაში მხოლოდ ერთი წევრის წარდგენის უფლებამოსილებით შემოიფარგლა.[117] ცესკოს

[114] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში, გვ 34-35, (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/epuLU, განახლებულია: 02.07.2024.

[115] იქვე. გვ. 35.

[116] 2021 წლის 3 აგვისტოს ცესკომ თავმჯდომარის ოპოზიციონერ მოადგილედ პარტია „ლელოს“ მიერ დანიშნული წევრი გიორგი სიორიძე აირჩია.

[117] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5825872?publication=0#DOCUMENT:1, განახლებულია: 30.07.2024.

დაკომპლექტებაში პრეზიდენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული როლის მნიშვნელოვნად შემცირებამ ლეგიტიმური კითხვები წარმოშვა კონსტიტუციასთან მისი თავსებადობის თვალსაზრისითაც, რადგან ქვეყნის ძირითადი კანონი ცესკოს კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე წარდგენის უფლებას ცალსახად პრეზიდენტს ანიჭებს,[118] ხოლო ამ პირთა განწესების თაობაზე პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას არ საჭიროებს.[119] ცვლილების შედეგად, პრეზიდენტის არსებითი როლი ამ პროცესში ფორმალობამდე დავიდა.

2021 წელს „შარლ მიშელის" დოკუმენტზე ხელმოწერით, საპარლამენტო უმრავლესობამ შეთანხმების შესრულებისა და ამბიციური დემოკრატიული რეფორმების გატარების ვალდებულება აიღო, რაც არა მხოლოდ „ქართული ოცნების" კეთილი ნება, არამედ მისი, როგორც ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის, მოვალეობაა. ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმიდან მე-2 რეკომენდაცია სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, ცესკოს დამოუკიდებლობის გაზრდას გულისხმობდა.[120] საია მოუწოდებდა საქართველოს პარლამენტს, არ დაემტკიცებინა შემოთავაზებული კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ „ქართული ოცნების" ვიწრო პარტიულ ინტერესებს ემსახურებოდა; გაეთვალისწინებინა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების რეკომენდაციები და გადაედგა ქმედითი, რეალური ნაბიჯები საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობისთვის.

ცვლილებების პროცესი 2023 წლის შემოდგომაზე კვლავ გაგრძელდა. 2023 წლის ზაფხულში მიღებული ცვლილებებისგან განსხვავებით, მმართველი პარტიის მიერ წარმოდგენილი[121] ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატის შესარჩევ პირველ კენჭისყრაზე, უბრალო უმრავლესობის (76) ნაცვლად, დეპუტატთა 3/5-ის მხარდაჭერა (90) გახდა საჭირო.[122] თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ვერ შეძლებდა 90 დეპუტატის მხარდაჭერის მოპოვებას, განმეორებით კენჭისყრაზე მას ორჯერ ექნებოდა შანსი, 76 დეპუტატის ხმა მიეღო და თანამდებობა 5 წლის ვადით დაეკავებინა.[123] აღსანიშნავია, რომ „შარლ მიშელის შეთანხმების" ფარგლებში მიღებული ფორმულირების თანახმად, მმართველ პარტიას დამოუკიდებლად, 76 ხმით, კანდიდატების მხოლოდ 6 თვით არჩევა შეეძლო.[124] საკანონმდებლო ინიციატივით, პარლამენტისთვის კანდიდატების წარდგენის უფლებამოსილება, პრეზიდენტის ნაცვლად, კვლავ პარლამენტის თავმჯდომარის ხელში დარჩა. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში ვერც 76 ხმა მოგროვდება, საკითხი გადასაწყვეტად პრეზიდენტს გადაეცემა, თუმცა, ერთპარტიული უმრავლესობის პირობებში, პროცესის ამგვარად განვითარების ალბათობა მინიმალურია. საკანონმდებლო ინიციატივა ასევე ითვალისწინებდა ცესკოს თავმჯდომარის ოპოზიციური კვოტით შერჩეული მოადგილის პოზიციის გაუქმებას.[125]

---

[118] საქართველოს კონსტიტუცია, 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ"ქვეპუნქტი.
[119] იქვე, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.
[120] Opinion on the EU membership application by Georgia, 17 June 2022, Brussels, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3T9Oqlo, განახლებულია: 08.05.2023.
[121] პირველი მოსმენით მიღებული.
[122] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ", ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hrGST, განახლებულია: 07.07.2024.
[123] იქვე.
[124] იქვე.
[125] იქვე.

19 დეკემბერს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში მიმდინარე ცვლილებებზე.[126] კომისიამ შეაფასა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც ცესკოს დაკომპლექტების წესი მორიგ ჯერზე იცვლებოდა.

შეფასების დოკუმენტში ცესკოს უპარტიო წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის წესთან დაკავშირებით წარმოდგენილი ფორმულირება შეფასდა, როგორც „რთული“ და „დამაბნეველი“.[127] ასევე აღინიშნა, რომ მიმდინარე ცვლილებების პროექტი მმართველი პარტიის ინიციატივით, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გარეშე, დაჩქარებული წესით მომზადდა.[128] ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ ინიციირებული ცვლილებებით, ქართული კანონმდებლობა დაშორდა 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების შედეგად მიღებულ ცესკოს დაკომპლექტების წესს, რომელიც კონსენსუსზე იყო ორიენტირებული.[129]

კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ანტიჩიხური მექანიზმის საფუძველზე დანიშნული პირებისთვის თანამდებობის დაკავების ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შეზღუდვას. დოკუმენტში უარყოფითად შეფასდა პრეზიდენტისთვის საკონკურსო კომისიის შექმნისა და კანდიდატების წარდგენის უფლებამოსილების ჩამორთმევა,[130] ასევე, ცესკოს თავმჯდომარის ოპოზიციონერი მოადგილის პოზიციის გაუქმება.[131]

ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის კრიტიკის მიუხედავად, 2024 წლის მარტში პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია.[132] ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო რეგულირებით, ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებს წარმომადგენლობით ორგანოს პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს.[133] იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი პირველ ჯერზე ვერ შეძლებს 90 დეპუტატის მხარდაჭერის მოგროვებას, განმეორებით კენჭისყრაზე მას ორჯერ ექნება შანსი, 76 დეპუტატის ხმა მიიღოს და 5 წლის ვადით დაიკავოს თანამდებობა.[134] თუ პარლამენტში ვერც 76 ხმა მოგროვდება, საკითხი გადასაწყვეტად პრეზიდენტს გადაეცემა,[135] თუმცა, ერთპარტიული უმრავლესობის პირობებში, პროცესის ამგვარად განვითარების ალბათობა მინიმალურია. ცვლილებების შედეგად, ასევე გაუქმდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლისთვის იყო განკუთვნილი.[136]

2024 წლის 30 აპრილს პარლამენტმა, შეცვლილი რეგულირების პირობებში, 5 წლის ვადით ცესკოს თავმჯდომარე და 3 უპარტიო წევრი აირჩია. თავმჯდომარის პოზიცია გიორგი კალანდარიშვილმა, ხოლო ცესკოს წევრების – მაია ზარიძემ, გი-

[126] Venice Commission, OSCE/ODIHR joint opinion on draft amendments to the election code and to the rules of procedure of the parliament of Georgia, CDL-AD(2023)047 (Strasbourg: Council of Europe, 2023), ხელმისაწვდომია: https://www. venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)047-e, განახლებულია: 30.07.2024.
[127] იქვე.
[128] იქვე.
[129] იქვე.
[130] იქვე.
[131] იქვე.
[132] „პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში» ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „რუსთავი 2“, 2024 წლის 19 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/277912, განახლებულია: 07.07.2024.
[133] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 221[1]-ე მუხლი.
[134] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის მე-7 ნაწილი.
[135] იქვე, მე-6 ნაწილი.
[136] იქვე.

ორგი შარაბიძემ და გია ცაცაშვილმა დაიკავეს. საპარლამენტო უმრავლესობისა და პარტია „გირჩის“ დეპუტატების შეთანხმების მიუხედავად, რომ, გენდერული კვოტირების გაუქმების სანაცვლოდ, „გირჩის“ წევრები ცესკოს წევრებად მმართველი პარტიისთვის სასურველ კანდიდატებს მისცემდნენ მხარს, ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების მაღალი კვორუმით - პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5-ით[137] - არჩევა მაინც ვერ მოხერხდა. კანდიდატები უბრალო უმრავლესობით,[138] 85 დეპუტატის მხარდაჭერით დაამტკიცეს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ 2023 წლის მოხსენებით საქართველოსთვის განსაზღვრული 9 დათქმიდან ერთ-ერთი სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას. ამის საპირისპიროდ, ინსტიტუციური გაძლიერების ნაცვლად, მმართველმა პარტიამ არსებითად გააუარესა 2021 წელს მიღებული რეგულირება. გააქრო კონსენსუსის საჭიროება, რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი პოლიტიკური ხელისუფლებისადმი საარჩევნო ადმინისტრაციის დაქვემდებარების რისკი.

2.2. ცესკოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობის შემცირება

2024 წლის 21 ივნისს ძალაში შევიდა საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, თუ ცესკოს სხდომაზე კენჭისყრის შედეგად ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მისაღებადაც საჭიროა ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის (12 ხმა) მხარდაჭერა,[139] იმავე სხდომაზე მას კენჭი ხელახლა ეყრება.[140] ამ შემთხვევაში, ცესკოს ეს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ცესკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა (9 ხმა).[141] ცვლილების შედეგად, გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იქნება მხოლოდ 8 პროფესიული წევრისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლის ხმა, რითაც მნიშვნელოვნად გაუარესდა ამ პროცესში სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის მონაწილეობის ხარისხი.[142] დაირღვა 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შედეგად მიღწეული პარტიული და პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრებს შორის არსებული ბალანსის ლოგიკა.

---

[137] 90 ხმა.

[138] 76 ხმა.

[139] ცესკოს დადგენილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომელიც საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოიცემა და არაერთ მნიშვნელოვან საკითხს არეგულირებს. მათ შორის, ცესკოს დადგენილებით განისაზღვრება 2024 წელს საპარლამენტო არჩევნებზე კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესები და პირობები; კენჭისყრის პროცედურები; არჩევნების გამართვისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი. ამასთანავე, ცესკო, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია, დადგენილებით განსაზღვროს არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისთვის აუცილებელი დამატებითი ღონისძიებები და ვადები. დადგენილებით მტკიცდება საარჩევნო კომისიის რეგლამენტიც და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

[140] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-4^1 ნაწილი.

[141] კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

[142] „საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი საფრთხეს უქმნის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saarchevno-kodeqsshi-shesatani-cvlilebebis-proeqti-safrtkhes-uqmnis-saarchevno-administraciis-mimart-ndobas#sthash.h745Tja5.dpbs, განახლებულია: 08.07.2024.

საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაცია შერეული პრინციპით, პროფესიულ-პოლიტიკური ქვეტიპის მოდელით ყალიბდება. ამ მოდელის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების მიმართ ლეგიტიმაციის გაზრდაა. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შედეგად განხორციელებული საარჩევნო რეფორმით, საარჩევნო ადმინისტრაციაში, ყველა დონეზე, წევრების რაოდენობა 12-იდან 17-მდე გაიზარდა. დღევანდელი მდგომარეობით, ცესკოს 8 პროფესიულ წევრს (მათ შორის, თავმჯდომარეს) საქართველოს პარლამენტი ირჩევს, ხოლო დანარჩენი 9 - პარტიების მიერ ინიშნება.[143] ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ იქამდე მოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობა მმართველ პარტიას არაპროპორციულად დიდ წარმომადგენლობას და გავლენას ანიჭებდა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა ოპოზიციის უნდობლობას საარჩევნო პროცესისადმი. კომისიებში წევრთა რაოდენობის ზრდა პოლიტიკური პარტიების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღწევას ემსახურებოდა.

ამ ბალანსის გაჩენის ერთ-ერთი სიმბოლური ნაბიჯი ცესკოს თავმჯდომარის ოპოზიციონერი მოადგილის თანამდებობის შემოღება იყო, რომელიც მმართველმა პარტიამ წინა ცვლილებებით გააუქმა. „ქართული ოცნების" ინიციატივით, ასევე შეიცვალა ცესკოს დაკომპლექტების წესი. შედეგად, მმართველ პარტიას ერთპიროვნულად, ოპოზიციასთან კონსულტაციების გარეშე მიეცა ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების დანიშვნის შესაძლებლობა. იმავდროულად, ამ პროცესში პრეზიდენტის როლიც ფორმალობამდე დავიდა.[144]

საიას შეფასებით, ამ საკანონმდებლო გაუარესების ფონზე, აუცილებლობის დასაბუთების გარეშე, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის უგულებელყოფით, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე,[145] „ქართული ოცნების" წევრების მიერ მიღებული ცვლილებები მორიგი ნაბიჯია არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების გაუარესებისკენ. წარმოდგენილმა რეგულირებამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში *de facto* გამოირიცხა ოპოზიციის ჩართულობა და მეტად გაამძაფრა ეჭვები საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის არაკეთილსინდისიერ გავლენებთან დაკავშირებით.

2.3. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის გაუქმება

21 ივნისის ცვლილებებით, გაუქმდა ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც, საარჩევნო კოდექსის მიხედვით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, ასევე, დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები შედიოდნენ.[146] საიამ თავიდანვე უარი თქვა ამ

[143] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლი.

[144] „ცესკოს დაკომპლექტების წესის ცვლილებებით „ქართული ოცნება" აგრძელებს კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგებას და ამცირებს ცესკოს დამოუკიდებლობას", 2023 წლის 5 მაისი, საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/ceskos-dakompleqtebis-tsesis-cvlilebebit-qartuli-ocneba-agrdzelebs-kanonmdeblobis-partiul-interesebze-morgebas-da-amcirebs-ceskos-damoukideblobas#sthash.nGYDHWff.136sW2EJ.dpbs, განახლებულია: 07.07.2024.

[145] Venice Commission, OSCE/ODIHR joint opinion on draft amendments to the election code and to the rules of procedure of the parliament of Georgia, CDL-AD(2023)047 (Strasbourg: Council of Europe, 2023), para. 48, ხელმისაწვდომია: https://www. venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2023)047-e, განახლებულია: 07.07.2024.

[146] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების

პროცესში მონაწილეობაზე. თავდაპირველი რედაქციით, ჯგუფის წევრების შერჩევა სრული კონსენსუსით უნდა მომხდარიყო. თუმცა, 2021 წლის 6 აგვისტოს ცესკომ დადგენილებაში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, თუ შეთანხმება ვერ მიიღწეოდა, ხელახალ კენჭისყრაზე არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერდა ამ ორგანიზაციების სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3. საიამ ეს გადაწყვეტილება უარყოფითად შეაფასა, რადგან ჯგუფის სანდოობისთვის უმჯობესი იყო ძველი წესის შენარჩუნება. სწორედ ცესკოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება გახდა ერთ-ერთი წინაპირობა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილისთვის, საკონსულტაციო ჯგუფის შერჩევის პროცესი დაეტოვებინათ. 2021 წლის 8 აგვისტოს მას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ გამოეთიშნენ. მათი პოზიციით, საკონსულტაციო ჯგუფის წევრების შესარჩევად მოწვეული ორგანიზაციების შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების წესი ვერ უზრუნველყოფდა კვალიფიციური და სანდო ადამიანების შერჩევას კონსენსუსის საფუძველზე. საერთო ჯამში, საკონსულტაციო ჯგუფმა ფუნქციონირება ვერ შეძლო და 2021 წლის 19 სექტემბერს დაიშალა.

მონიტორინგის ანგარიში, (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/epuLU, განახლებულია: 06.02.2024.

3. საარჩევნო კანონმდებლობა

3.1. საარჩევნო სისტემა

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, 2024 წელს საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება. მრავალი წლის განმავლობაში დამკვიდრებული შერეული სისტემისგან განსხვავებით, როდესაც საპარლამენტო მანდატების ნაწილი პროპორციული, ხოლო ნაწილი მაჟორიტარული წესით ნაწილდებოდა, ახალი მოდელით, საქართველოს პარლამენტის 150-ვე წევრი ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ანუ პარტიული სიით აირჩევა. პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში, პოლიტიკური პარტია სადეპუტატო მანდატებს მის მიერ მიღებული ხმების/მხარდაჭერის თანაზომიერად/პროპორციულად მოიპოვებს, რაც უფრო მეტად სამართლიან წარმომადგენლობას ნიშნავს. ეს ართულებს ერთი პარტიის მიერ მომეტებული ძალაუფლების მოპოვებას, თუმცა, ამ თვალსაზრისით, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის არსებობა.[147] მაღალი საარჩევნო ზღურბლი დაკარგული ხმების მაღალ მაჩვენებელს გულისხმობს, რის შედეგადაც, ამომრჩევლის სოლიდური ნაწილი, შესაძლოა, საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლის გარეშე დარჩეს.[148]

2023-24 წლებში საარჩევნო კანონმდებლობა არაერთგზის გაუარესდა. მმართველი პარტია ყოველ ჯერზე უგულებელყოფდა საერთაშორისო პარტნიორებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაციებს.[149]

3.2. ქალთა გენდერული კვოტების გაუქმება

პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ინიციატივითა და მმართველი პარტიის მხარდაჭერით, გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტა პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.[150] საქართველოს პარლამენტმა ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო 15 მაისს დაძლია. კვოტების გაუქმებას 85-მა დეპუ-

[147] პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5%-ს მაინც მიიღებენ.

[148] მანდატების გადასანაწილებლად: კონკრეტული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე [მანდატების საერთო რაოდენობა] და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც, სულ ცოტა, 5% მიიღეს. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე ბარიერგადალახული პარტიები.

[149] „ცესკოს დაკომპლექტების წესის ცვლილებებით „ქართული ოცნება“ აგრძელებს კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგებას და ამცირებს ცესკოს დამოუკიდებლობას“, 2023 წლის 5 მაისი, საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/ceskos-dakompleqtebis-tsesis-cvlilebebit-qartuli-ocneba-agrdzelebs-kanonmdeblobis-partiul-interesebze-morgebas-da-amcirebs-ceskos damoukideblobas#sthash.nGYDHWff.136sW2EJ.dpbs, განახლებულია: 07.07.2024; „საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი საფრთხეს უქმნის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saarchevno-kodeqsshi-shesatani-cvlilebebis-proeqti-safrtkhes-uqmnis-saarchevno-administraciis-mimart-ndobas#sthash.h745Tja5.dpbs, განახლებულია: 08.07.2024; „საიამ „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების თაობაზე მოსაზრებები წარადგინა“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-saqartvelos-saarchevno-kodeqsshi-shesatani-cvlilebebis-taobaze-mosazrebebi-tsaradgina#sthash.JxxnEMmS.dpbs, განახლებულია: 07.07.2024.

[150] „პარლამენტმა გენდერული კვოტების გაუქმებაზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/607551, განახლებულია: 03.07.2024.

ტატმა დაუჭირა მხარი, 22-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა.[151] ეს იყო პარტიებს შორის შეთანხმების ნაწილი, რის სანაცვლოდაც, „გირჩის“ წევრებმა ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების პოსტებზე უმრავლესობის სასურველ კანდიდატებს დაუჭირეს მხარი.[152] ამ შეთანხმების შედეგად, „ქართულმა ოცნებამ“ ხსენებული კანდიდატებისთვის მრავალპარტიული მხარდაჭერის მოპოვება შეძლო. გარდა ამისა, გაუქმდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” ორგანულ კანონში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისა და მათი გაძლიერების მიზნით არსებული ჩანაწერი, რომელიც პარტიებისთვის ფინანსური წახალისების მექანიზმს ითვალისწინებდა. საკანონმდებლო პაკეტი დაჩქარებული წესით განიხილეს. ნიშანდობლივია, რომ გენდერული კვოტირების გაუქმებას მხარი დაუჭირა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა. გენდერული კვოტირების შესახებ კანონი „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წელს მიიღო, როგორც გენდერული თანასწორობის დროებითი ღონისძიება, 2023 წელს კი მისი მოქმედების ვადა 2032 წლამდე გაახანგრძლივა.[153] აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა, ევროპული პერსპექტივის მინიჭებისას, ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრულ 12 პირობათაგან ერთ-ერთი იყო და ის შესრულებულად მიიჩნეოდა.[154]

სახალხო დამცველის შეფასებით, გენდერული კვოტირების გაუქმებით თანასწორობის მისაღწევად არსებული მექანიზმები გაუარესდა.[155]

3.3. საარჩევნო კანონმდებლობაში დელეგატის ცნების შემოღება

2024 წლის მაისში საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესული ცვლილებებით, პარტიას უფლება მიეცა, საარჩევნო სიის შედგენისას მასში შეყვანილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ამავე კანონის დანართით გათვალისწინებული 30 ოლქიდან რომელიმე მათგანის დელეგატობის კანდიდატად განსაზღვროს. არჩევნების შემდეგ პარლამენტის ეს წევრი შესაბამისი ოლქის დელეგატად მიიჩნევა, თუ პარტია, რომელმაც იგი დელეგატობის კანდიდატად განსაზღვრა, ამ ოლქის ტერიტორიაზე ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

წარმოდგენილი ცვლილებით, კანონმდებლობაში მაჟორიტარიზმის ელემენტი კვლავ ბრუნდება და, ამ გზით, ის ამომრჩევლის ნების განსაზღვრაზე ისევე იქონიებს გავლენას, როგორც მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში ხდებოდა.[156] ახალი წესი პარტიებს საშუალებას მისცემს, საარჩევნო სიების შედგენისას

---

[151] იქვე.

[152] ბუბაშვილი მ. საინფორმაციო ბიულეტენი №55, აპრილი, 2024 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/55_geo.pdf, განახლებულია: 07.07.2024.

[153] „ხუთი პირობა, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ დაარღვია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/552w25su, განახლებულია: 30.07.2024.

[154] 2023 Communication on EU Enlargement policy, Georgia 2023 Report, Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 697 final. ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023_en, განახლებულია: 08.07.2024.

[155] „სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს გენდერული კვოტირების გაუქმების კანონპროექტს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32887495.html, განახლებულია: 13.05.2024.

[156] „საიამ „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების თაობაზე მოსაზრებები წარადგინა“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-saqartvelos-saarchevno-kodeqsshi-shesatani-cvlilebebis-taobaze-mosazrebebi-tsaradgina#sthash.JxxnEMmS.dpbs, განახლებულია: 07.07.2024.

გაითვალისწინონ ამომრჩეველთა გეოგრაფიული განაწილება. შედეგად, მათ შეეძლებათ, პრიორიტეტი მიანიჭონ კანდიდატებს იმ რეგიონებიდან, საიდანაც მეტ მხარდაჭერას მოელიან. საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლების მკვეთრად განსხვავებული რაოდენობის გათვალისწინებით, პარტიები სიის წინა რიგებში ჩასვამენ მსხვილი რეგიონების წარმომადგენლებს, რომლებსაც უფრო მეტი ელექტორალური მხარდაჭერის მოტანა შეუძლიათ. ამან კი, შესაძლოა, მცირე მოსახლეობიან ოლქებთან მიმართებით უთანასწორობა გამოიწვიოს. შემოთავაზებული ცვლილების მიღების შემთხვევაში, შედარებით სუსტ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებსაც არ ჰყავთ ძლიერი რეგიონული წარმომადგენლობა, გაუჭირდებათ, კონკურენცია გაუწიონ დიდ პარტიებს, რომლებსაც შეუძლიათ, სტრატეგიულად წარმოადგინონ კანდიდატები რეგიონებში, სადაც მათ ადგილების მოპოვების ყველაზე დიდი შანსი აქვთ. ამით უფერულდება პროპორციული სისტემის უპირატესობა, რომელიც ამომრჩეველს აძლევს შესაძლებლობას, თავისი არჩევანი სრულად პარტიულ შემადგენლობას დააფუძნოს. ამ მოცემულობაში მმართველ პარტიას საკანონმდებლო დონეზე დაუბრუნდება ის არაკონკურენტული პრივილეგია, რომელსაც ის შერეული მოდელის პირობებში მაჟორიტარების არსებობით (რეგიონული ელემენტი) იღებდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელისუფლებო პარტიები, როგორც წესი, რეგიონებზე პოლიტიკური და ელექტორალური კონტროლის კუთხით, მნიშვნელოვნად ეყრდნობიან რეგიონულ ელიტებს, რაც მათ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. კანდიდატების დელეგატებად განსაზღვრის წესი, დიდი ალბათობით, ასევე გამოიწვევს კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების, წინასაარჩევნო კამპანიის, პარტიული შტაბის მოწყობის ლოგიკის და პრიორიტეტების ცვლილებას, რაც წინასაარჩევნო მარათონს კვლავ მაჟორიტარული არჩევნების პირობებში არსებულ რეალობას მიუახლოებს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეს ცვლილება უკან გადადგმული ნაბიჯია სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის და ამ სისტემის თანმდევი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების გზაზე, რაც გულისხმობს პარტიული პოლიტიკის წახალისებას და არა ინდივიდუალური გავლენიანი პირების მიერ მხარდამჭერების მობილიზებას.

3.4. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიმართვის საფუძველზე, პარტიების რეგისტრაციის გაუქმება

2024 წლის 29 მაისს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფლებამოსილება მიენიჭა, ანტიკორუფციულ ბიუროს[157] უფროსის მიმართვის საფუძველზე,[158] გააუქმოს პარტიის რეგისტრაცია, თუ ზედიზედ 2

[157] აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის ფუნქცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ნაცვლად, ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცა. ამ საკითხის შეფასებისას კრიტიკული იყო ვენეციის კომისია. მისი განმარტებით, არსებული ინსტიტუციური ჩარჩო არ უზრუნველყოფს ბიუროს დამოუკიდებლობის საკმარის დონეს, შესაბამისად, მისი კომპეტენცია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ზედამხედველობისა და მაღალი დონის თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მიმართულებით კანონმდებლობაში დამატებითი გარანტიების გათვალისწინებას საჭიროებს. კომისია ასევე პრობლემად მიიჩნევს, რომ ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნა-გათავისუფლება, დიდწილად, პრემიერ-მინისტრის ხელშია. კომისიის რეკომენდაციით, ბიუროს უფროსს მრავალპარტიული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს და ის პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობით უნდა აირჩიონ.

[158] 2023 წელს პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის ფუნქცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ნაცვლად, ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცა. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს 6 წლის ვადით თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს.

კალენდარული წლის განმავლობაში ის ანტიკორუფციულ ბიუროს არ წარუდგენს კანონით გათვალისწინებულ საფინანსო დეკლარაციას, ან ყველა წარდგენილ დეკლარაციაში ასახული შემოსავლები და ხარჯები ნულის ტოლია. ასეთ შემთხვევაში, პარტიის დარჩენილი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადაეცემა.[159]

პარტიის რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ ქართული კანონმდებლობა არ იცნობს ხელახალი რეგისტრაციის ფორმას. ამიტომ, თუ პოლიტიკური პარტია რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს აღმოფხვრის, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, ხელახლა დარეგისტრირდეს. ამიტომ, რეკომენდებულია, კანონში გაჩნდეს ხელახალი რეგისტრაციის მკაფიო პროცედურები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.[160] ასევე, მნიშვნელოვანია, პარტიის მიერ ფინანსური დეკლარაციის წარუდგენლობისა და ამ საფუძვლით მისი რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ პარტიას მიეცეს გონივრული ვადა ხელახალი რეგისტრაციისთვის, ხოლო ამ ვადის განმავლობაში ხელშეუხებელი იყოს მისი ქონება. პარტიის ხელახალი რეგისტრაციის შესაძლებლობის გაჩენა შექმნის განსხვავების ხელშესახებ კრიტერიუმს პარტიის აკრძალვისა და რეგისტრაციის გაუქმების შედეგებს შორის, რაც მიანიშნებს, რომ პარტიის რეგისტრაციის გაუქმება არსებითად უფრო დაბალი ინტენსივობის ჩარევაა. ეს, გარკვეულწილად, მოხსნის რისკებს, რომ წარმოდგენილი რეგულირება მმართველმა პარტიამ არაკეთილსინდისიერად გამოიყენოს.

ქართული რეალობის გათვალისწინებით, რისკის შემცველი შეიძლება იყოს ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნა, რადგან, ჩარევის მაღალი ინტენსივობიდან გამომდინარე, ესეც არის არსებითი ჩარევა დემოკრატიულ წესრიგში და მისი გამართლებისთვის საჭიროა ძლიერი არგუმენტები.

ასევე, საკითხავია, რამდენად აუცილებელი იყო საკანონმდებლო რეგულირების შემოღება არსებული დროის და კონტექსტის გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც ვენეციის კომისია არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებას რეკომენდაციას არ უწევს. კომისიის მოსაზრებით, საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია, თუ რეფორმასთან დაკავშირებით ფართო კონსენსუსი არსებობს.

3.5. იურიდიული პირებისთვის პარტიისთვის თანხის შეწირვის აკრძალვა

პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და 2023 წლის 15 დეკემბერს, 82 ხმით, მესამე მოსმენით მიიღო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონსა და „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები, რომელთა თანახმად, იურიდიულ პირებს პარტიებისთვის შემოწირულებების გაცემა აეკრძალათ.[161]

[159] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 24[1]-ე მუხლი.

[160] VENICE COMMISSION, GUIDELINES ON POLITICAL PARTY REGULATION BY OSCE/ODIHR AND VENICE COMMISSION, (Venice, 15-16 October 2010), ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)024 e&fbclid=IwAR327FTTHn52Is3cKa0mIIZ_GXrT4zviK4UkXY_BsOvgf8BsWJMi7Eub-44, para. 86.

[161] ოდიკაძე ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №51, დეკემბერი, 2023 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024), გვ. 11, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/51_geo.pdf, განახლებულია: 24.06.2024.

3.6. პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კანდიდატების მთლიანი წლიური ხარჯების ოდენობის კანონმდებლობით დადგენილი ზედა ზღვრის შემცირება

2023 წლის 15 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.05%-იდან 0.04%-მდე მცირდება პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების დასაშვები საერთო ოდენობის ზედა ზღვარი.[162] ამ ოდენობაში შედის პარტიისა და მის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები, რომლებსაც ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ანტიკორუფციული ბიურო და რომელთა შესახებაც ეცნობება შესაბამის პარტიას.[163]

[162] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25^1-ე მუხლი.
[163] იქვე.

4. საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენება (სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა)

მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანია ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში აჭარაში საკუთარ ამომრჩევლებთან შეხვედრით დაიწყო.[164] რეგიონებში მხარდამჭერებთან შეხვედრების პარალელურად, „ქართული ოცნება“ აქტიურად ცდილობს მის ხელთ არსებული სახელმწიფო რესურსების მობილიზებას, რაც მასშტაბური სოციალური, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და საჯარო მოხელეების პარტიული მიზნით გამოყენებაში გამოიხატება.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით, აკრძალულია არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე ისეთი პროექტების/პროგრამების გამოცხადება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში.[165] მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე 5-6 თვით ადრე ასეთი პროექტების განხორციელება ან დაგეგმვა პირდაპირ არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს, არჩევნების მოახლოებასთან ერთად სახელისუფლებო ორგანოების მიერ გადადგმული მსგავსი ნაბიჯები ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების ნიშნებს შეიცავს. ვენეციის კომისიაც ადასტურებს,[166] რომ საარჩევნო პროცესი სცდება მხოლოდ საარჩევნო კამპანიის პერიოდს კანონმდებლობით მკაფიოდ დადგენილი ვადით და მოიცავს ყველა საქმიანობას, რომლებსაც მოქმედი მთავრობის წარმომადგენლები ახორციელებენ კანდიდატების, პოლიტიკური პარტიების, კოალიციის მხარდასაჭერად ან მათ წინააღმდეგ.[167]

4.1. ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება „ქართული ოცნების“ კონტრაქციაზე

რუსული სტილის კანონის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი აქციების საპასუხოდ, მმართველმა პარტიამ 2024 წლის 29 აპრილს კონტრაქცია დააორგანიზა. „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებდნენ, რომ აქციაზე 100 000-ზე მეტ ადამიანს ელოდებოდნენ.[168] ისინი საჯარო მოხელეებს დაუფარავად მოუწოდებდნენ აქციაში მონაწილეობისკენ.[169]

აქციის ორგანიზების ეტაპზე სოციალურ ქსელებსა და სხვა ინტერნეტ გვერდებზე გასაჯაროვდა ინფორმაცია (ე.წ. „სქრინების“ სახით), რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს მათზე ზემდგომი თანამდებობის პირები აქციაში მონაწილეობას ავალდებულებდნენ.[170] გავრცელებული „სქრინებით“ ირკვევა, რომ თერ-

---

[164] „ქართულმა ოცნებამ“ რეგიონებში წინასაარჩევნო კამპანია აჭარიდან დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „პალიტრანიუსი“, 2024 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ARSU7, განახლებულია: 10.04.2024.

[165] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[166] VENICE COMMISSION, REPORT ON THE MISUSE OF ADMINISTRATIVE RESOURCES DURING ELECTORAL PROCESSES, Strasbourg, 16 December 2013, para. 9.

[167] იქვე.

[168] „100 000-ზე მეტი“ - მდინარაძე ამბობს, რომ „ოცნების“ აქციაზე მონაწილეთა რაოდენობა „მოლოდინებს გადააჭარბებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32923980.html, განახლებულია: 06.07.2024.

[169] „შალვა პაპუაშვილი - მნიშვნელოვანია, 29 აპრილს დიდიც და პატარაც, ქალიც და კაცი, საჯარო მოხელეც და ბიზნესმენიც, ქუდზე კაცი გამოვიდეს რუსთაველზე, რათა ზიზღის კამპანიას ვუთხრათ ქართველი ხალხის სიტყვა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2024 წლის 23 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/uCr41, განახლებულია: 04.07.2024.

[170] „ვიღაცამ FB გატეხა“ – თერჯოლის მერის წარმომადგენელი კონტრაქციის ფოტოასლებზე“, საინ-

ჯოლის მერის წარმომადგენელი თუზის ადმინისტრაციულ ერთეულში მამუკა გოგბერაშვილი საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს კატეგორიული ფორმით მოუწოდებდა აქციაში მონაწილეობისკენ[171] (იხ. ფოტომასალა №1).



ფოტომასალა №1

მედიასაშუალებებით გავრცელდა კადრები, როგორ იკრიბებოდნენ საჯარო მოხელეები, ადგილობრივ ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები და პედაგოგები კონკრეტულ ტერიტორიაზე და როგორ ხდებოდა მათი ტრანსპორტირება თბილისში.[172] ეს პირები არ მალავდნენ, რომ მოდიოდნენ აქციაში მონაწილეობის მისაღებად და რუსული სტილის კანონის მხარდასაჭერად.

ანონიმური წყაროს ცნობით, საიას სადამკვირვებლო მისიისთვის ცნობილი გახდა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების დირექტორი თამუნა მაისურაძე პედაგოგებს სამთავრობო პოსტების გაზიარებისკენ მოუწოდებდა. ასევე, სთხოვდა, წასულიყვნენ „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერ აქციაზე - 29 აპრილს და „ოჯახის სიწმინდის დღეზე“ - 17 მაისს. მოწოდების პროცესში ჩართულნი იყვნენ ცალკეული ბაღების დირექტორებიც. აღსანიშნავია, რომ თამუნა მაისურაძე ასევე იმყოფებოდა 2 ივნისს თელავში „ქართული ოცნების“ პარტიულ შეხვედრაზე.[173]

ამ შემთხვევამ გამოკვეთა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. მართალია, საჯარო მოხელეებს სამუშაო საათების განმავლობაში „წინასაარჩევნო აგიტაცია“ და „აგი-

ფორმაციო პორტალი „netgazeti.ge“, 2024 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/719147/, განახლებულია: 04.07.2024.

[171] იქვე.

[172] ,,დამიჯერე, აქ წესიერ პასუხს ვერ გაიგებ'' - რა ხდებოდა ოცნების კონტრაქციის შეკრების დროს გორში“, საინფორმაციო პორტალი „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი“, 2024 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ujhmA, განახლებულია: 04.07.2024.

[173] „ვიცავთ საზოგადოებრივ წესრიგს», თელავში ღარიბაშვილის „ოცნების» პარტაქტივთან შეხვედრას კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორიც დაესწრო“, 2024 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/0netg, განახლებულია: 21.06.2024.

ტაციაში მონაწილეობა“ ეკრძალებათ,[174] მაგრამ, კანონმდებლობის მიხედვით, აგიტაციად მხოლოდ ის პოლიტიკური აქტივობები მიიჩნევა, რომლებიც კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე ტარდება.[175] ეს წესი მანიპულირების შანსს ტოვებს – პარტიებს შესაძლებლობა აქვთ, შეზღუდვების ამოქმედებამდე მცირე ხნით ადრე ჩართონ ისინი საკუთარ აქტივობებში. არსებული ტენდენციები მიუთითებს პარტიული ინტერესებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, რაც შლის ზღვარს პარტიასა და სახელმწიფოს შორის. პოლიტიკური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურის ფუძემდებლური პრინციპია.[176] საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება სამსახურებრივი მდგომარეობის პარტიული მიზნებისთვის გამოყენება.[177] ის თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საფუძველზე, რაც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პარტიული აქტივობებისგან საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.[178]

საია მიიჩნევს, რომ საჯარო მოხელეებისთვის პარტიულ აქტივობებში ჩართვა და საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის აკრძალვა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდით და ის უნდა გავრცელდეს საჯარო მოხელის უფლებამოსილების მთლიან პერიოდზე სამუშაო საათებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

4.2. „ოცნების“ მხარდამჭერებთან შეხვედრა თელავში

2024 წლის 2 ივნისს თელავში „ქართული ოცნების“ პარტიული შეხვედრა გაიმართა, რომელშიც კახეთის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აქტივისტები მონაწილეობდნენ.[179] შეხვედრას ესწრებოდა კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თეიმურაზ კალანდაძეც.[180] იგი სამოქალაქო ფორმაში იყო ჩაცმული და ჟურნალისტებს თავს არიდებდა. როდესაც ჰკითხეს, რატომ იმყოფებოდა პარტიულ შეხვედრაზე, მან აღნიშნა, რომ სამოქალაქო წესრიგს იცავდა.[181] ამასთანავე, კითხვებს თემასთან შეუსაბამო კითხვებითვე სცემდა პასუხს: „არ მიხდება სამოქალაქო ფორმა?“ „თქვენ უნდა გკითხოთ, სად ვივლი?“.[182]

საქართველოს საარჩევნო კოდექსი კრძალავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას.[183] მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის ეს ნორმა მოიცავს მხოლოდ კამპანიის პერიოდს, საარჩევნო პროცესი ბევრად უფრო ხანგრძლივ დროს და ფართო საქმიანობას ითვალისწინებს.[184] შესაბამისად, მმართველი პარტიის ყრილობაზე იმ თანამდებობის

---

[174] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ და „კ“ პუნქტები; საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-15 მუხლი.
[175] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
[176] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი.
[177] იქვე, მე-15 მუხლი.
[178] იქვე, 68-ე მუხლი.
[179] ღარიბაშვილის კომენტარი, 2024 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/EOhfX, განახლებულია: 21.06.2024.
[180] „ვიცავთ საზოგადოებრივ წესრიგს», თელავში ღარიბაშვილის „ოცნების» პარტაქტივთან შეხვედრას კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორიც დაესწრო“, 2024 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/0netg, განახლებულია: 21.06.2024.
[181] იქვე.
[182] იქვე.
[183] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
[184] ნიშანდობლივია, რომ მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანია არჩევნებამდე თითქმის 8 თვით ადრე დაიწყო.

პირების დასწრება, რომლებსაც კანონმდებლობით პარტიული ნეიტრალურობის დაცვა მოეთხოვებათ, ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების ნიშნებს შეიცავს და საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობას ამცირებს.

გარდა თეიმურაზ კალანდაძისა, შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტარები, ასევე თელავის მერის აპარატი: მერის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სხვადასხვა სამსახურის უფროსები, საკრებულოს წევრები და სხვა.[185] შეხვედრის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა და პარლამენტარებმა მედიასთან კომენტარები გააკეთეს. მათი თქმით, შეხვედრაზე განიხილეს: არჩევნები და სავარაუდო როლები/დავალებები საარჩევნო პროცესში; ომი თუ მშვიდობა; „ნაციონალური მოძრაობის" გეგმები და წარსულის ძალადობრივი ქმედებები; უკრაინაში მიმდინარე პროცესები და მე-3 მსოფლიო ომის დაწყების რისკი.[186]

4.3. პატიმრების მასშტაბური ამნისტია

28 ივნისს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ამნისტიის შესახებ კანონპროექტის ინიციირება დააანონსა, რომელიც სექტემბერში იქნება მიღებული.[187] პრემიერ-მინისტრის თქმით, დაგეგმილია პატიმართა რიცხვის მნიშვნელოვანი, 1/3-იანი შემცირება.[188]

4.4. ხელისუფლების ინიციატივები მოქალაქეების ფინანსური ვალდებულებების სუბსიდირების შესახებ

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის თქმით, 2000-მდე მოქალაქეს კოვიდპანდემიის დროს გამოწერილი ჯარიმები ჩამოეწერება.[189] 3 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე კობახიძემ თქვა, რომ ჯარიმისგან გათავისუფლდება 1855 ფიზიკური და 38 იურიდიული პირი. თანხის ჯამური რაოდენობა 5 600 000 ლარს შეადგენს.[190]

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ 8 აპრილს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობა ფიზიკური პირებისთვის საგადასახადო ამნისტიას გამოაცხადებს.[191] მისი თქმით, ინდივიდუალურ მეწარმეებს სრულად ჩამოეწერებათ 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება მათზე დარიცხული საურავების ჩათვლით.[192]

---

[185] იქვე.

[186] ღარიბაშვილის კომენტარი, 2024 წლის 2 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/EOhfX, განახლებულია: 21.06.2024.

[187] „ამნისტია და არჩევნები - „გირჩის» კანონპროექტის ნაცვლად, „ოცნება» თავისას გაიტანს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება, 2024 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%90%e1%83%93%e1%83%90%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a9%e1%83%94%e1%83%95%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/33017557.html, განახლებულია: 02.07.2024.

[188] იქვე.

[189] „მთავრობის განკარგულებით, 2 ათასამდე მოქალაქეს კოვიდ პანდემიის დროს დაკისრებული ჯარიმები ჩამოეწერება", „Interpressnews", 2024 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bIAJ7, განახლებულია: 03/07/2024.

[190] იქვე.

[191] „კობახიძე: 145 ათას პირს სრულად ჩამოეწერება ჯამში 590 მლნ ლარის საგადასახადო დავალიანება", „პუბლიკა", 2024 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/6GNvv, განახლებულია: 03.07.2024.

[192] იქვე.

ირაკლი კობახიძის თქმით, შესაბამისი კანონპროექტის მიღების შემდეგ 145 000 ფიზიკურ პირს სრულად ჩამოეწერება ჯამში 590 მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება.[193]

4.5. სახელფასო გასაცემელებისა და შტატების ზრდა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, 1-ლი ივლისიდან სკოლის მასწავლებლების ხელფასი 200-იდან 800 ლარამდე გაიზარდა.[194] დღეს სისტემაში 52 000-ზე მეტი პედაგოგია. აქედან, საშუალოდ, 70%-ზე მეტს ხელფასი 500-იდან 800 ლარამდე ეზრდება,[195] დაახლოებით 25%-ს კი - 300-იდან 400 ლარამდე. აღსანიშნავია, რომ არცერთი მასწავლებელი ანაზღაურების მატების გარეშე არ დარჩება. მინიმუმ 200-ლარიანი მატება, მცირე საათობრივი დატვირთვის შემთხვევაშიც კი, აბსოლუტურად ყველა პედაგოგს შეეხება. ასეთია, დაახლოებით, მასწავლებელთა 5%.[196]

2024 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში. შედეგად, გაუმჯობესდა ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების, ასევე, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები სხვა პირების სოციალური გარანტიები.[197] ცვლილებების მიხედვით, 2006 წლის შემდეგ, პირველად, კომპენსაციის მიმღები ყველა პირისთვის 560 ლარიდან 1000 ლარამდე გაიზარდა პენსიის (კომპენსაციის) მაქსიმალური ზღვარი.[198]

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ სოციალური პროგრამების შემუშავება, ისევე, როგორც საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანების ადეკვატური სახელფასო უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა და არა მმართველი პარტიის კეთილი ნება. მოქალაქეების მძიმე სოციალური პირობების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის მიუღებელია და ეწინააღმდეგება თანასწორი, კონკურენტული წინასაარჩევნო კამპანიის პრინციპებს.

საარჩევნო წლის განმავლობაში გაიზარდა დასაქმებულ პირთა რაოდენობა რამდენიმე საჯარო უწყებაში**.**

მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წლის 29 მაისის სხდომაზე ცვლილებები შეიტანა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში, რომელშიც დამატებულია 24 ახალი კადრი, მათ შორის, 11 - მერიის საჯარო მოხელეთა შტატში, 6 - შრომითი, ხოლო 7 - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულთა შტატებში. აღსანიშნავია, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმდა ე.წ. „ქოლ-ცენტრის“ 5 ოპერატორი, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულებით

[193] იქვე.
[194] განათლების სამინისტრო: „800 ლარით ხელფასი 3000-მდე პედაგოგს გაეზრდება“, განათლების სამინისტროს ვებგვერდი, 2024 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/c1kql, განახლებულია: 03.07.2024.
[195] იქვე.
[196] იქვე.
[197] „პარლამენტმა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ” საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/parlamentma-/16191, განახლებულია: 07.07.2024.
[198] იქვე.

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების 7 ახალი თანამშრომელი.[199]

ასევე, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში კადრების ზრდაზე საუბრობს სხვადასხვა მედიასაშუალება ზესტაფონის მუნიციპალიტეტშიც.[200] სხვადასხვა სოფლის ბიბლიოთეკაში აქ შექმნეს ახალი კადრები - მოძრავ ბიბლიოთეკაში წიგნების დამტარებლები და ბიბლიოთეკის დამლაგებლები.[201]

საია მიიჩნევს, რომ არჩევნების დღესთან ახლო პერიოდში მიღებული მსგავსი გადაწყვეტილებები ზრდის იმის ალბათობას, რომ ახლად დასაქმებულმა პირმა მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი მადლიერება საარჩევნო ყუთთან გამოხატოს. არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება პარტიული და ადმინისტრაციული რესურსის გამიჯვნის პრინციპს და მმართველ პარტიას, სხვა კანდიდატებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა მთავრობის კიდევ ერთი ინიციატივა - პირველი სექტემბრიდან 3 000-მდე კურსდამთავრებულს მიეცემა როგორც საჯარო სამსახურში, ასევე კერძო სექტორსა და მუნიციპალიტეტებში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის საშუალება.[202] პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ წელს პროექტი საპილოტე რეჟიმში იმუშავებს.[203]

4.6. ინფრასტრუქტურული პროექტები

ბათუმში, „ოცნების ქალაქში“, სამი 12-სართულიანი კორპუსი აშენდა.[204] ბინების გადაცემის პროცესი 5 ივნისს დაიწყო. ცერემონიალს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ესწრებოდნენ.[205] ბინები ეკომიგრანტ ოჯახებს პრემიერ-მინისტრმა 5 ივნისს გადასცა.[206] პირველ ეტაპზე ახალი საცხოვრებელი 582 ოჯახმა უნდა მიიღოს. ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ პროექტი გაგრძელდება და ბინებით კიდევ 1000-ზე მეტი ოჯახი დაკმაყოფილდება.[207]

---

[199] ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №99 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 1-ლი მუხლი, 2024 წლის 29 მაისი.

[200] „როგორ იქცა სამთავრობო ა(ა)იპ-ი „დასაქმების კანტორად”, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება ifact.ge, 2024 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: https://ifact.ge/samtavrobo-aaip-dasakmebis-kantora/, განახლებულია: 04.07.2024.

[201] იქვე.

[202] „ირაკლი კობახიძე - ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა 3 000-მდე კურსდამთავრებულს მისცემს როგორც საჯარო სამსახურში, ისე კერძო სექტორსა და მუნიციპალიტეტებში სტაჟირების გავლის საშუალებას“, „პირველი არხი“, 2024 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/9ejq3, განახლებულია: 03.07.2024.

[203] იქვე.

[204] „ბათუმში, „ოცნების ქალაქში“ 600-მდე ოჯახს ახალი ბინები გადაეცა“, „იმედი News”, 2024 წლის 5 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/QiIIj, განახლებულია: 03.07.2024.

[205] იქვე.

[206] იქვე.

[207] იქვე.

2024 წლის 1-ელ ივნისს თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ თელავში მშვიდობის ქუჩაზე გახსნა მშვიდობის პარკი,[208] რომლის რეაბილიტაცია 2022 წელს დაიწყო[209] და მისი დასრულება 3 თვეში იგეგმებოდა. თუმცა, მერიამ დათქმულ ვადაში პარკის აღდგენა ვერ შეძლო. პროექტი განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.[210] მუნიციპალიტეტის მერს, ლევან ანრიაშვილს, საჯარო გამოსვლებში[211] მოსახლეობასთან არ უხსენებია ევროკავშირის მიერ სკვერის რეაბილიტაციის დაფინანსების საკითხი, რამაც მოძრაობა „თავისუფლების მოედნის“ წევრების პროტესტი გამოიწვია.[212] საიას რეგიონული მონიტორის ინფორმაციით, რომელიც ღონისძიებაზე იმყოფებოდა, მუნიციპალიტეტის მერმა ამ პროექტის განხორციელება მთლიანად მიაწერა „მუნიციპალიტეტის კეთილგონიერებას და ზრუნვას მოსახლეობაზე“. პარკის გახსნას ესწრებოდნენ ადგილობრივი საჯარო მოხელეები, ბაღებისა და სკოლების პედაგოგები, სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები.

სკვერის მოწყობას გეგმავს ასევე მარნეულის მერია 107 716 ლარად.[213] ადგილობრივმა თვითმმართველობამ ტენდერი 28 მაისს გამოაცხადა. მასში მონაწილეობის მსურველ კომპანიებს სატენდერო წინადადებების წარდგენა 13-იდან 18 ივნისამდე პერიოდში შეეძლოთ. სატენდერო პირობების თანახმად, გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღის ვადაში უნდა შეასრულოს.

3 ივნისს ქალაქ მარნეულში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი გახსნა,[214] რომლის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8.2 მილიონი ლარით დაფინანსდა.[215] ახალი სტადიონის მშენებლობა 2021 წელს დაიწყო და პროექტის დასრულება 2023 წლის ბოლოსთვის იგეგმებოდა.[216]

საია ხელისუფლებას მოუწოდებს, თავი შეიკავოს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მასშტაბური საბიუჯეტო პროექტების განხორციელებისგან, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ამომრჩევლის ნებაზე და უთანასწორო მდგომარეობა შექმნას სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის.

---

[208] „წარწერამ „დაფინანსებულია EU-ს მიერ» თელავის მერი გააბრაზა და ბანერები მოგლიჯა, ინციდენტი მშვიდობის პარკში“, „მთავარი არხი“, 2024 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/tcuYF, განახლებულია: 20/06/2024.

[209] „მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ ახალი სარეკრეაციო სივრცე მოეწყობა”, თელავის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, 2022 წლის 16 მარტი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rAuUX , განახლებულია: 20.06.2024.

[210] იქვე.

[211] „წარწერამ „დაფინანსებულია EU-ს მიერ» თელავის მერი გააბრაზა და ბანერები მოგლიჯა, ინციდენტი მშვიდობის პარკში“, „მთავარი არხი“, 2024 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/tcuYF, განახლებულია: 20.06.2024.

[212] იქვე.

[213] „მარნეულის მერია სკვერის მოწყობას 107 716 ლარად გეგმავს“, რადიო „მარნეული“, 2024 წლის 4 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/0lmVo, განახლებულია: 20.06.2024.

[214] საქართველოს მთავრობის განცხადება, 2024 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/VFTSv, განახლებულია: 20.06.2024.

[215] იქვე.

[216] ვიზიტი მარნეულის მშენებარე სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, 2022 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/WXd2K, განახლებულია: 20.06.2024.